# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ორშაბათი, 20 მარტი. 2023 წ. №32 (9564) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცილიობით და ჭორებით ბურთის გაგდება ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.

## მწარე სინამდვილე







იხ. 3 გვ.

# ბინძური თამაშები მიშას ნაყანევში

## მამუკა მდინარაძე:

# ეს ჩვენმა ოპოზიციამ უნდა იცოდეს!

„ისევ მხოლოდ ფაქტები:

2022 წლის 2 მარტს, ომის დაწყებიდან ერთ კვირაში, მსოფლიოს 38-მა ქვეყანამ, მათ შორის საქართველომ, მიმართა ჰააგის სასამართლოს რუსეთის მიმართ ომის დანაშაულების გამოძიებასთან დაკავშირებით. ამ მიმართვას ბევრი ქვეყანა არ შეუერთდა, რომელთა შორისაც იყო, მაგალითად, მოლდოვა.

მიმართვის საფუძველზე ჰააგის სასამართლომ გამოძიება დაიწყო. პუტინის მიმართ რამდენიმე დღის წინ გამოცემული დაკავების ორდერიც ამ გამოძიების შედეგია. ეს ის დღეებია, როდესაც თბილისში საპროტესტო აქციები იმართებოდა მოტივით, რომ თითქოს საქართველოს ხელისუფლება მხარს არ უჭერდა უკრაინას... ეს ის დღეებია, როდესაც უკრაინის ხელისუფლებამ, იმავე მოტივით, საქართველოდან ელჩი გაიწვია...

რაც შეეხება ქართულ საკანონმდებლო ბაზას ჰააგის სასამართლოსთან მიმართებით:

მსოფლიოში საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს რომის წესდების მონაწილე 123 ქვეყანაა. დღევანდელი მოცემულობით, მათ შორის არ არიან, მაგალითად, თავად უკრაინა, რუსეთი, აშშ და სხვ. საქართველო, რომის სტატუტის წევრი ქვეყნებიდან, იმ 22 ქვეყანას შორისაა, რომლებსაც სრულად აქვთ მორგებული ქვეყნის საკანონდებლო ბაზა ჰააგის სასამართლოსთან სათანამშრომლოდ, განსხვავებით ევროკავშირის წევრი 16 ქვეყნისგან, რომლებსაც დღემდე არ აქვთ შექმნილი საკანონდებლო ბაზა სასამართლოსთან პროცესუალური თანამშრომლობისთვის“.

# „წინ სტუდენტობა იჩქარის“... და ეძებს მხოლოდ ფულს!

**დიმიტრი ჩიქოვანი: „მაგ სტუდენტებმა ერთი ადგილი რომ გაანძრიონ, თითო განცხადება ათასი ლარი მიჯდება“!**



იხ. 4 გვ.

...მოკლედ, ასეთი ამბავია, დიმა ჩიქოვანი არის კეზერაშვილის ცოლის ძმა. კეზერაშვილი და მერაბიშვილი სხვა ტელევიზიებთან და ორგანიზაციებთან ერთად დიმა ჩიქოვანის ხელით აფინანსებენ ორგანიზაციას „ნაბიჯი“, რომელიც აქტიურად ყოფილა ჩართული ბოლო დღეების მოვლენებში და მიბარებული აქვთ სტუდენტების და ლექტორების ბულინგის მიმართულება. რას კადრულობენ ხვდებით? ბოლშევიკურ თუ ფაშისტურ განცხადებებს თხოვენ და ფულს უხდიან ამაში.

## „კრედიტ სუისი“ გაკოტრების პირასაა, რა ელის ბიძინა ივანიშვილის მილიარდს? 8

## არ დავუშვათ საქართველოს „სტრატეგიული პარტიობა“! თუ ახლა ვინმეს ვადამდელი არჩევნების დანიშვნა არ უნდა აწყობდეს, ეს ოპოზიციაა 6

## ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ყველა პროგრამა ხორციელდება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად...




იხ. 5 გვ.

# დაუსაბუთებელი



იხ. 7 გვ.

## ქინი ლიკა ბასილაიასი...



**გია მურღულია: ამ ქალბატონის რიტორიკის მვროპული „ბარსის“ შიგნით მოჩანს მკაფიოდ გამოკვეთილი ბოლშევიზმი!**

## დავიჭიროთ, მკლავი მოვჭრათ, რატომ კარგი აუგია!!!

# საპარლამენტო უმრავლესობისა და საქართველოს მთავრობის გასვლითი შეხვედრა გაიმართა



შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე, პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი, მმართველი პარტიის გენერალური მდივანი კახი კალაძე, აღმასრულებელი მდივანი მამუკა მდინარაძე, უმრავლესობის და მინისტრთა კაბინეტის წევრები.

სამუშაო შეხვედრაზე განიხილეს მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხები. საუბარი მიმდინარე პოლიტიკურ პროცესების გარდა, შეეხო საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის სამომავლო სამუშაო გეგმებს.

# სხვადასხვა ქვეყნის სამხედრო ატაშეები თავდაცვის ახალ კოდექსს დადებითად აფასებენ



**საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები დადებითად აფასებენ თავდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებულ თავდაცვის ახალ კოდექსს, რომელიც ქართული ჯარის გაძლიერებისა და მისი ინსტიტუციური განვითარებისათვის მორიგი მნიშვნელოვანი ნაბიჯია.**

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ქვეყნისთვის თავდაცვის კოდექსის მნიშვნელობაზე და აღინიშნა, რომ რეფორმები შემუშავებულია მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის, საქართველოს უსაფრთხოებისა და თავდაცვის მიზნების გათვალისწინებით. აღსანიშნავია, რომ თავდაცვის ახალი კოდექსი არსებითად ცვლის და თავდაცვის მიზნებზე სრულად მორგებულს ხდის სამხედრო სავალდებულო სამსახურს და შემოაქვს სამხედროების სოციალური დაცვის უმნიშვნელოვანესი გარანტიები. ახალი კოდექსით იქმნება რეზერვის მყარი საფუძველი, რაც მნიშვნელოვანია ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისთვის.

დიპლომატიური კორპუსის, ნატოს ძირითადი ჯგუფისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ არსებული საფრთხეების გათვალისწინებით, თავდაცვის კოდექსის შემუშავება მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისთვის.

# მოსწავლეებისთვის „ჯარის ბანაკი“ იქმნება



**ახალგაზრდა თაობაში პატრიოტული სულისკვეთების ამაღლების, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციისა და ქართული ჯარის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით თავდაცვის სამინისტრო ახალ პროექტს იწყებს,** – ამის შესახებ ინფორმაციას თავდაცვის სამინისტრო ავრცელებს. მათივე ინფორმაციით, საზაფხულო „ჯარის ბანაკი“ თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ინიცირებული პროექტია და მას თავდაცვის უწყება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად წელს პირველად განახორციელებს.

„ჯარის ბანაკი“ ზაფხულში კოჯორში, გიორგი ანწუხელიძის სახელობის სერჟანტთა აკადემიაში მოეწყობა და მასში ჩართვა მე-9, მე-10 და მე-11 კლასების მოსწავლეებს შეეძლებათ. თავდაცვის, განათლებისა და მეცნიერების მინისტრების მოადგილეებმა გრიგოლ გიორგაძემ და თამარ მახარაშვილმა ბანაკისთვის განსაზღვრული ინფრასტრუქტურა პირადად მოინახულეს და სამხედროებთან ერთად თითოეული დღის პროგრამის შედგენაზე იმსჯელეს. საზაფხულო „ჯარის ბანაკის“ აღსრულებას წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობა უზრუნველყოფს.

# ნიკა შენგელია: ლარის გამყარების მიუხედავად, ფასები რომ არ იკლებს, ეროვნული ბანკის და ქვეყნის ფისკალური პოლიტიკის ბრალია!

**ლარის კურსი დოლართან მიმართებაში 5 წლიან მინიმუმზე ჩამოვიდა, მიუხედავად ამისა მოსახლეობა პროდუქტებსა და მომსახურებაზე ფასების კლებას ვერ ხედავს. მხოლოდ მიმდინარე წელს, ქართულმა ვალუტამ პოზიციები 10-12 პუნქტით გაიუმჯობესა. დღეისთვის არსებული ოფიციალური მონაცემებით, 1 ამერიკული დოლარი 2.5867 ლარი ღირს.**



**რატომ არ იაფდება პროდუქცია ლარის გამყარების მიუხედავად, ამის მიზეზებზე საერთაშორისო კვლევებისა და პროგნოზირების ვიცე-პრეზიდენტი, ფინანსისტი ნიკა შენგელია საუბრობს.**

– ჯერ კიდევ ერთი წლის წინ, შემდეგ მომდევნო თვეებშიც, ჩემს გამოსვლებში ყოველთვის ვამბობდი, რომ 2023 წლის პირველ კვარტალში ველოდებით ინფლაციის მაჩვენებლის შემცირებას, მაგრამ სურსათზე და მომსახურეობაზე ფასები არ დაიკლებს. უკეთეს შემთხვევაში შეიძლება არ გაიზარდოს-მეთქი. პროგნოზი არ შეგვიცვლია და როდესაც გამოვა აპრილის თვის მონაცემები, დავინახავთ რომ ინფლაციის მაჩვენებელი გვექნება 7%, მაგრამ ფასები გვექნება უცვლელი.

როგორც ამ დღეებში მოვისმინეთ, მთავრობის ეკონომიკურმა გუნდმა ახლა აღმოაჩინა, რომ თურმე პროდუქტებთან მიმართებაში იმპორტიორის ფასსა და საცალო ფასს შორის სხვაობა 80-100%-ია. ეს ასეა, უკვე წლებია და ახლა არ მომხდარა. მთავრობამ ამ საკითხში მსხვილი სავაჭრო ქსელები დაადანაშაულა და საკითხის გარკვევა კონკურენციის სააგენტოს დაავალა. იმპორტიორებიც ხელს მსხვილი სავაჭრო ქსელების მიერ თვითნებურად დაწესებულ შიდა პოლიტიკას აბრალებს, კერძოდ, არახალია რომ დიდი ქსელები საქონლის მიმწოდებელს, იმპორტიორს ავალდებულებს, დაუბრუნოს ეგრეთ წოდებული „ქეშბექი“ გაყიდული საქონლის შემოსავლიდან, აღნიშნული „ქეშბექი“-ის ზომა ხშირ შემთხვევაში მერყეობს 15%-25% -ს შორის, თან ისე რომ ქსელი მოგების მარჟას 5%-10%-ზე მეტს არ ადებს.

საცალო გაყიდვამდე, პროდუქტის ფასი გადის შემდეგ ციკლს: იმპორტიორი (რომელიც უყურებს ვალუტის კურსს), დისტრიბუცია (ასევე ითვალისწინებს ვალუტის კურსს და საწვავის ფასს), სავაჭრო ქსელი და ბოლოს მომხმარებელი. აღნიშნულ ციკლში ყველა მონაწილე (მომხმარებლის გარდა) ყველა ცდილობს, მიიღოს მაქსიმალური მოგება. მიუხედავად იმისა, რომ ლარი გამყარებულია, არახალია, რომ იმპორტიორს არა აქვს გარანტია იმისა, რომ როცა საწყობიდან გატანილი პროდუქტის რეალიზაციის შემოსავალს უკეთეს შემთხვევაში მაქსიმუმ 3 თვის განმავლობაში დაიბრუნებს უკან, ლარის კურსი იგივე დახვდება. ამიტომაც ის გასაყიდ ფასში კურსს ითვალისწინებს იმაზე მეტს, ვიდრე რეალურად არის საქონლის გაცემის დროს.

ნიკა შენგელია სხვა პრობლემებზეც საუბრობს და ამბობს, რომ ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთი იქნებოდა 7% თუ 11% ინფლაციური პროცესები მაინც ვერ მოითოკებოდა.

„თურქეთში წლიური ინფლაციის მაჩვენებელი დღეის მონაცემებით არის 57,68%, საპროცენტი განაკვეთი კი 8,5 %. აზერბაიჯანშიც წლიური ინფლაცია არის 13,6%, ხოლო საპროცენტო განაკვეთი 8,5%, რუსეთში წლიური ინფლაცია არის 11,8%, ხოლო საპროცენტო განაკვეთი 7,5%. ასევე ის ფაქტი, რომ საწვავის ბიზნესში, არსებობს „კარტელები“ და მისი ფასიც ბრენდულ ავტოგასამართებზე 80 თეთრიდან 1 ლარამდეა გაზრდილი. ამის დარეგულირება პროდუქტების შემომტან იმპორტიორსა და სავაჭრო ქსელების ადმინისტრაციას რომ არ ხელეწიფება, ესეც გასაგებია. 11%-იანი საპროცენტო განაკვეთით იმპორტიორისათვის ფული ძვირია და იაფად პროდუქციას რომ ვერ შემოიტანს და ვერ შემოგთავაზებს, ესეც გასაგებია.

**118%-ით გაძვირებულ ხახვს, 79%-ით გაძვირებულ სიმინდის ფქვილს, 130%-ით გაძვირებულ შედედებულ რძესა და სხვა პროდუქტს, ქართველი მეწარმე 11%-იანი საპროცენტო განაკვეთის პირობებში იაფად რომ ვერ მიაწვდის მოსახლეობას, ესეც გასაგებია. მოკლედ რომ ვთქვათ, მიუხედავად იმისა, რომ ლარის კურსი გამყარებულია, პროდუქტებზე გაზრდილ ფასებზე, მხოლოდ იმპორტიორებსა და სავაჭრო ქსელებისათვის ხელის გაშვერა და დადანაშაულება არაა სამართლიანი. ამ საკითხში, რომ სებ-ის ფულად-საკრედიტო და მთავრობის ფისკალური პოლიტიკის ხელიც ურევია, ესეც ცხადია“,** – ამბობს ნიკა შენგელია.




# საბაზრო ეკონომიკის ახალი პარადოქსი

**„საქსტატის“ ცნობით, 2022 წლის IV კვარტალში საქართველოში საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 21.2 პროცენტით (309.9 ლარით) გაიზარდა და 1773.7 ლარი შეადგინა. საშუალო ხელფასის სიდიდის მიხედვით თბილისი და მცხეთა-მთიანეთის რეგიონი ლიდერობს.**

რასაკვირველია, ანაზღაურების ზრდის წინააღმდეგი ქვეყანაში არავინ არის, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ასეთი დადებითი ტენდენციაც კი იწვევს პრობლემას და ის ინფლაციას უკავშირდება. საქმე ისაა, რომ ხელფასების მატების ტემპი საკმაოდ უსწრებს ქვეყანაში პროდუქტიულობის ტემპს.

## ხელფასების ზრდა ინფლაციას ახალისებს და მერე ისევ ხელფასების გაზრდა ხდება საჭირო...

იხ. 11 გვ.





# ბინძური თამაშები მიშას ნაყანევში

**ვინმემ პლაგიატობა რომ არ დამწამოს, დიდი ბოდიშის მოხდით შეგახსენებთ, რომ „ყანად“ პრეზიდენტი სააკაშვილი ხალხს, თავის თანამემამულეებს მოიხსენიებდა. მართალია, არ დაუკონკრეტებია, მაგრამ სავარაუდოდ, იგი გულისხმობდა, როგორც პოლიტიკურ ოპონენტებს, ისე მომხრეებს.**

**ვწუხვარ, მაგრამ თავისი მომხრეების შეფასებისას, „მარადიული პრეზიდენტი“ სააკაშვილი ცამდე მართალი გახლდათ - ადამიანების ის ნაწილი, ვინც მას უკრიტიკოდ მხარს უჭერდა, ლექსებს და სიმღერებს უძღვნიდა, ყველა მის დაძახილზე ქუჩაში გარბოდა, ყველა მისი მოწოდება ურყევ ჭეშმარიტებად მიაჩნდა, იყო ბრბო, ანუ სააკაშვილის ტერმინოლოგიით – ყანა.**

ერთ დროს მობიბინე, დღეს უკვე გადამხმარ-გავერანებული და ვაშაძე-მერაბიშვილ-ხაბეიშვილების სანავარდოდ ქცეული სააკაშვილის ნაყანევი საეჭვოდ მომრავლებული ნაცბელადების ურდოსთვის ხელისუფლებაში მისაბრუნებელ ერთადერთ იმედად რჩება. არ იფიქროთ, ეს ცრუბელადები თავს იტყუებდნენ – საზღვარგარეთ „მოღვაწე“ ნაქურდალით უსაზღვროდ გამდიდრებული დამფინანსებლისა და „ტანჯული მიშას“ ოჯახის გაცუცურაკებას, მათთვის მუქთა ფულის გამოტყუებას ცდილობენ. აბა, ელენე ხოშტარიას მოსისხლე მტერი რუსისგან პატიოსნად მიღებული ჰონორარის, ჩალაძის უკიდეგანო ტრფიალისა და ჭიჭე ვაშაძის ომახიანი მოწოდებების იმედად ხომ ვერ დარჩებიან!

**მიშას ნაყანევი იბრძვის, გადამხმარი პოლიტიკური ველის ცდუნებას აყოლილი გოგო-ბიჭების ტვინის გამორეცხვით აღორძინებას ლამობს და რეალობისთვის თვალის გასწორებას არ აპირებს.**

**2023 წლის მარტის დასაწყისში ეგრეთ წოდებული „უცხო ქვეყნების აგენტების გამჭვირვალობის“ შესახებ კანონპროექტთან დაკავშირებული დაპირისპირების ინსპირაციაც ამ ბინძური ბრძოლის ნათელი მაგალითია.**

მადლობა ღმერთს, ყველამ ყველაფერი ჩვენი თვალით ვნახეთ და ჩვენი ყურით მოვისმინეთ – სააკაშვილის ნაყანევმა კანონპროექტის გაპროტესტების საბაბით ახალგაზრდების ქუჩაში გამოყვანა მოახერხა და მერე მათი სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის პროცესში ჩართვა სცადა. საინტერესოა, რომ ამ სახიფათო ავანტიურაში მონაწილე ახალგაზრდობის აბსოლუტური უმრავლესობა კანონპროექტის შინაარსს, საერთოდ, არ იცნობდა. კიდევ უფრო საინტერესოა პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ ჯერ კიდევ გუშინ საჯაროდ უშვერი სიტყვებით ნაგინები და დღეს უკვე სააკაშვილის ყანას მიერთებული ქალბატონი პრეზიდენტის განცხადება: „კანონპროექტს არ ვიცნობ, არ წამიკითხავს, არ ვიცი, იქ რა წერია, არც მაინტერესებს, მაგრამ აუცილებლად დავადებ ვეტოს!“

**დიახ, საწყენია, უცნაურია, შეურაცხმყოფელია, მაგრამ ფაქტია, რომ ამას ამბობს ფრანგული დიპლომატიის შარავანდედით მოსილი მადამ სალომე, საქართველოს უპირველესი პოლიტიკური ფიგურა, დარბაისლური ასაკის საეჭვოდ ამჩატებული ქალბატონი ზურაბიშვილი.**

საღი გონების ადამიანი, უბრალოდ, შეუძლებელია დაეთანხმო ამგვარ „ლოგიკას“: კანონპროექტი კატეგორიულად მიუღებელია იმის გამო, რომ მისი მსგავსი კანონი მოქმედებს რუსეთში, ამიტომ იგი არის რუსული და ემსახურება რუსეთის ინტერესებს(!).

სხვათა შორის, რუსეთში მოქმედებს კანონები დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების გაფლანგვაზე, ბოროტ ხულიგნობაზე, გაუპატიურებაზე, საზღვრის უკანონო გადაკვეთაზე... გამოდის, ანალოგიური ქართული კანონებიც რუსულია და უნდა გავაუქმოთ?

სამაგიეროდ, მე, სოლიდური ასაკის საქართველოს რიგითი უპარტიო მოქალაქე შეიძლება დავთანხმებოდი ჩემი პრეზიდენტის, სააკაშვილის ნაყანევის სხვა ნებისმიერი წარმომადგენლის დაახლოებით ამგვარ კრიტიკას: კანონპროექტი კატეგორიულად მიუღებელია იმის გამო, რომ მომზადებულია ნაჩქარევად, წინასწარ არ ყოფილა მისი საფუძვლიანი საჯარო განხილვა, ახლავს ბევრი გაუგებრობა და ენობრივი ხარვეზი. ჯერჯერობით მოცემულ ვითარებაში არ არსებობდა მისი მიღების აუცილებლობა.

არა, ამერიკულის ანალოგიური ქართული კანონპროექტი, თურმე, არ ვარგა იმის გამო, რომ იგი არის რუსული!

სააკაშვილის ნაყანევისგან გაბრიყვებული ახალგაზრდობა, ჩვენი ქვეყნის ხვალინდელი დღე, ტაშს უკრავს ამგვარ „ლოგიკას“, მარტის ცივ ღამეს მკერდს უშვერს ცივი წყლის ჭავლს, ისუნთქავს წიწაკის სპრეის და ცრემლსადენ გაზს, ქვებს უშენს სამართალდამცავებს, „მოლოტოვის კოქტეილებით“ ცეცხლს უკიდებს პოლიციის მანქანებს და თავად პოლიციელებს, ცდილობს პარლამენტის სასახლეში შეჭრას, ბილწსიტყვაობს, უწმაწური ჟესტებით შეურაცხყოფს წესრიგის დამცველებს... მეორე დღეს უნივერსიტეტში მისული „რუსო, რუსოს!“ ძახილით აუდიტორიიდან აძევებს ლექციის წასაკითხად მისულ პროფესორს და საჯაროდ წვავს ასევე უნივერსიტეტის პროფესორის, მმართველი პარტიის თავმჯდომარის წიგნებს... მესამე დღეს ნაყანევთან ერთად ზეიმობს „რუსეთუმე“ უმრავლესობაზე გამარჯვებას – „რუსული კანონპროექტის“ პარლამენტიდან გაწვევას...

**მწარე სინამდვილეა, მაგრამ ქართველი ახალგაზრდობის ამ საქციელის ახსნა სავსებით შესაძლებელია. დროთა განმავლობაში, მისთვის ყალბი და ნამდვილი ფასეულობების დანახვებაც არა მგონია, გადაუჭრელი პრობლემა იყოს. მაგრამ, ძნელია აიხსნას ჩვენი სასიქადულო საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორის, საყმაწვილო ასაკს გადაცილებული გიორგი კეკელიძის ინიციატივა, იმ ცივ ნაშუაღამევს პოლიციის მიერ მიშვერილი წყლის ჭავლზე მოკუნტრუშე გოგონას სპეციალური სტიპენდიით დაჯილდოებაზე. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩვენ, მიმდინარე პროცესებით გულშეძრული მოქალაქეები ხომ იმ ღამით ბევრი სხვა უფრო „გმირული“ საქციელის მოწმედაც ვიქეცით: ქართული ეროვნული დროშით შემკული გოგონა ცხვირწინ ორივე ხელით უტრიალებს პოლიციელებს შუათითს, რაც საყოველთაოდ ცნობილი ჟესტების ენაზე, რბილად რომ ვთქვა, ასეთ რამეს ნიშნავს -– წადი, თქვენი დედაც!..**

სამწუხაროდ, ერთ, თუნდაც ათ საგაზეთო სტატიაში „უცხოური გრანტების გამჭვირვალობის“ შესახებ კანონპროექტის ავკარგიანობის, მის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა არგუმენტების ანალიზი, უბრალოდ, შეუძლებელია. ძალიან მოკლედ გავიმეორებ, რომ კანონის მომხრეთა აზრით, იგი ხელს შეუწყობს უცხოეთიდან შემოსული ფინანსების გამჭვირვალობას და მის კანონიერად ხარჯვას. მოწინააღმდეგეთა (სააკაშვილის ნაყანევის) აზრით, კანონი მიმართულია არა მარტო არასამთავრობო ორგანიზაციების (ენჯეოების), არამედ მთლიანად ქვეყნის წინააღმდეგ და, რაც მთავარია, არის დაუძლეველი წინააღმდეგობა ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე. სწორედ იმ ევროკავშირისკენ, რომელიც თავად მუშაობს ანალოგიური „რუსული კანონის“ მიღებაზე და რომლისკენაც სააკაშვილის მედროშეობით ელენე ხოშტარია, ხატია დეკანოიძე, ვანო მერაბიშვილი და გიორგი ვაშაძე გაგვიძღვებიან.

ახალგაზრდების, არასამთავრობო და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების პროტესტის გამო ვითარების შემდგომი ესკალაციის თავიდან ასაცილებლად პარლამენტის მიერ კანონპროექტის ხელოვნურად „ჩაგდება“ ნაყანევმა თავის გამარჯვებად აღიქვა და შეტევაზეც გადავიდა. ალბათ არ გაგიკვირდებათ, რომ პირველი სამიზნე საზოგადოებრივი ტელევიზია აღმოჩნდა. სამეურვეო საბჭოს სამმა წევრმა (ლიკა ბასილაია-შავგულიძე, ზაზა აბაშიძე, ლაშა ტუღუში) მოითხოვა ტელევიზიიდან გიორგი გვიმრაძის თამადობით ყველა ჟურნალისტის გაძევება, ვინც აშკარად თუ შენიღბულად იმ ავადსახსენებელი კანონის მიღებას და, საერთოდ, სახელისუფლებო პოლიტიკას ემხრობა. გასაკვირი არაფერია - საზგადოებრივი ტელევიზია, მისი საკმაოდ გაწონასწორებული პოლიტიკის მიუხედავად, სააკაშვილის ნაყანევის ხელისუფლებისკენ მიმავალ ციცაბოზე უმნიშვნელოვანესი წინაღობაა.

მოდი, ჯერ ვნახოთ ამონაწერი საქართველოს მწერალთა კავშირის პარტორგანიზაციის 1937 წლის 1 ივნისის სხდომის ოქმიდან. ვინაიდან არც ერთი ხელმომწერი დღეს ცოცხალი აღარ არის, მათ გვარებს არ გავიმეორებ:



**„თუ კონსტანტინე გამსახურდიას სურს, იყოს საბჭოთა მწერალი, ბურჟუაზიულ-კლასობრივი და ნაციონალისტური იდეებისგან უნდა გათავისუფლდეს, უფრო ახლოს დადგეს ჩვენს სოციალისტურ რეალობასთან და თავისი დიდი შემოქმედებითი შესაძლებლობა საქართველოს მშრომელ ხალხს მოახმაროს...“**

ახლა მეორე ამონაწერიც ვნახოთ, რომელიც 2023 წლის მარტშია შექმნილი და 126 ხელმოწერა ახლავს. არც მათ ვინაობას დავასახელებ, თუმცა ორიოდე მათგანის აქ გამოჩენამ ცოტა არ იყოს, გამაკვირვა:



**„2023 წლის 7 მარტს, საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო კანონპროექტი „უცხოური გავლენის აგენტების შესახებ“, რომელიც მიზნად ისახავდა ქვეყანაში დასმენის ინსტიტუტის შექმნას, მედიის და არასამთავრობო სექტორის დევნას და თავისუფალი აზრის ჩახშობის დაკანონებას... 2020 წლიდან საქართველოს პარლამენტის წევრია პიანისტი ელისო ბოლქვაძე. 7 მარტს მან პირველივე მოსმენაზე მისცა ხმა ამ კანონპროექტს და ასე უღალატა სამშობლოს, თავის ხალხს, საქართველოს ყველა მოქალაქეს...**

**მიგვაჩნია, რომ ელისო ბოლქვაძე, როგორც პოლიტიკოსი და ხელოვანი არ იმსახურებს იუნესკოს მშვიდობის ელჩის (ARTIST FOR PEACE) სტატუსს, რომელსაც ის 2015 წლიდან იუნესკოს ეგიდით ატარებს“.**

წერილი საქართველოს პენ ცენტრის სახელით იუნესკოს გენერალურ დირექტორს, ოდრი აზულაის ეგზავნება და მას ხელს აწერენ ადამიანები, რომლებიც საკუთარ თავს ასე მოიხსენიებენ: მწერალი, პოეტი, რეჟისორი, რედაქტორი, ილუსტრატორი, მთარგმნელი, ფოტოგრაფი, გამომცემელი, კონტენტის კრეატორი, პროდიუსერი, კულტურის მენეჯერი, საავტორო უფლებების მენეჯერი, ლიტერატურის თეორეტიკოსი, ხელოვანი, ხელოვნების ისტორიკოსი, შემოქმედებითი ლიდერი, კურატორი...

**კიდევ ერთხელ სინანულით გავიმეორებ, რომ ამ ამაზრზენი დასმენის ადრესატია დიდებული ოჯახის შვილი დიდებული ქართველი ხელოვანი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს სახელის მსოფლიო არენაზე გამტანი, საქართველოს პარლამენტის წევრი, უამრავი საერთაშორისო პრემიისა და ქართული უმაღლესი ჯილდოს კავალერი, მსოფლიოში აღიარებული პიანისტი ელისო ბოლქვაძე.**

**ალბათ დარწმუნდით – სააკაშვილის ნაყანევი ქვეყანაში 30-იანი წლების დაბრუნებაზე ოცნებობს.**

**ამაოდ, მაგრამ მაინც ოცნებობს.**



**თეიმურაზ ქორიძე.**

17. 03. 2023

№32. ორშაბათი, 20 მარტი, 2023 წელი.



რამდენიმე დღის წინ თსუ-ში სტუდენტთა ჯგუფმა ლექტორი ელიზბარ ელიზბარაშვილი აუდიტორიიდან გააძევა და მას შეურაცხყოფა მიაყენა. სტუდენტების ერთმა ჯგუფმა ელიზბარაშვილს „სირცხვილის დერეფანი“ მოუწყვეს და პროფესორს პრორუსად მოიხსენიებდნენ.

## დიმიტრი ჩიქოვანი:

## „მაგ სტუდენტებმა ერთი ადგილი რომ გაანძრიონ, თითო განცხადება ათასი ლარი მიჯდება“!

# „წინ სტუდენტობა იჩქარის“... და ეძებს მხოლოდ ფულს!

ამ 50 წლის წინათ, იმ საზიზღარი სოციალისტური საბჭოთა ეპოქის ერთ-ერთი მეომარი, ოცი წლის ასაკში დიდი სამამულო ომის სანგარში რომ ეგდო, მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ქართველი პოეტი და მამულიშვილი მურმან ლებანიძე ხშირად, ძალიან ხშირად ეფერებოდა ჩვენს სტუდენტ-ახალგაზრდობას და სწორუპოვარ პოეტურ შედევრებს უძღვნიდა მათ. ეს სტრიქონებიც სიმღერად ქცეული „მელიქიშვილის გამზირიდან“ შემოგვძახის: „წინ სტუდენტობა იჩქარის, მძებნელი გზის და ბზის“...

დღეს კი რა ხდება?! წინ სტუდენტობა იჩქარის და ეძებს მხოლოდ ფულს!..

გაჩუმების კი არა, განგაშის დროა!!!

**ყოფილ ხელისუფლებასთან დაახლოებული არასამთავრობო ორგანიზაციები ამონაწერის გასაჯაროებაზე უარს აცხადებენ. თავდაცვის ყოფილ მინისტრთან, დავით კეზერაშვილის გარემოცვასთან კავშირში მხილებული ორგანიზაცია „ნაბიჯის“ წევრი ლუკა ჯოხონელიძე უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას, რომ კონკრეტული აქტივობისთვის კეზერაშვილის ცოლის ძმის დიმიტრი ჩიქოვანისგან თანხას იღებენ და ეჭვების გასანეიტრალებლად არც ამონაწერის გასაჯაროებას აპირებს. გავრცელებული ინფორმაციით, კეზერაშვილი ახალგაზრდებთან კონტაქტს ცოლის ძმას დიმიტრი ჩიქოვანს ანდობს.**

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ, თსუ-ში სტუდენტთა ჯგუფმა ლექტორი **ელიზბარ ელიზბარაშვილი** აუდიტორიიდან გააძევა და მას შეურაცხყოფა მიაყენა. სტუდენტების ერთმა ჯგუფმა ელიზბარაშვილს „სირცხვილის დერეფანი“ მოუწყვეს და პროფესორს პრორუსად მოიხსენიებდნენ. უმრავლესობის წევრი **დიტო სამხარაძე** წერს, რომ კეზერაშვილი და მერაბიშვილი სხვა ტელევიზიებთან და ორგანიზაციებთან ერთად დიმა ჩიქოვანის ხელით აფინანსებენ ორგანიზაციას „ნაბიჯი“, რომელიც აქტიურად ყოფილა ჩართული ბოლო დღეების მოვლენებში და მიბარებული აქვთ სტუდენტების და ლექტორების ბულინგის მიმართულება.

მისი თქმით, ამ ორგანიზაციაშია გაწევრიანებული ვინმე **დათო ჩხობაძე,** რომელიც აქტიურობდა ელიზბარ ელიზბარაშვილისთვის პროვოკაციის მოწყობაში და ამის შემდეგ მისცა ინტერვიუები „ნაცმოძრაობის“ ტელევიზიებს, რისთვისაც ჩიქოვანმა იმავე დღეს გადაურიცხა 1000 ლარი.

**„მოკლედ, ასეთი ამბავია, დიმა ჩიქოვანი არის კეზერაშვილის ცოლის ძმა. კეზერაშვილი და მერაბიშვილი სხვა ტელევიზიებთან და ორგანიზაციებთან ერთად დიმა ჩიქოვანის ხელით აფინანსებენ ორგანიზაციას „ნაბიჯი“, რომელიც აქტიურად ყოფილა ჩართული ბოლო დღეების მოვლენებში და მიბარებული აქვთ სტუდენტების და ლექტორების ბულინგის მიმართულება.**

**რას კადრულობენ, ხვდებით? ბოლშევიკურ თუ ფაშისტურ განცხადებებს თხოვენ და ფულს უხდიან ამაში. თუ არასწორს ვწერ რამეს, გამოაქვეყნეთ გადარიცხვები! დიმა ჩიქოვანი „ნაცმოძრაობის“ პოლიტსაბჭოს წევრია, რომელიც ამბობს – „მაგ სტუდენტებმა ერთი ადგილი რომ გაანძრიონ, თითო განცხადება ათასი ლარი მიჯდებაო“**, – წერს **დიტო სამხარაძე.**

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარის **ირაკლი კობახიძის** განცხადებით, კანონპროექტმა თავისი ფუნქცია შეასრულა, მოხდა რეალურად აგენტების ლუსტრაცია და ყველამ გაიგო, რომ აგენტობა არის სამარცხვინო და სათაკილო. საბოლოო ჯამში, ეს პროცესი, მათ შორის აგენტების ლუსტრაცია არის იმის გარანტია, რომ ენჯეოების მეშვეობით და დახმარებით საქართველოში „ნაცმოძრაობა“ ხელისუფლებაში ვერასდროს დაბრუნდება. როგორც კობახიძე ამბობს, ამის პრევენცია იყო საჭირო და ამის პრევენციას წარმატებით ემსახურებოდა ის დისკუსია, რომელიც კანონპროექტის გარშემო გაიშალა.

**„რა თქმა უნდა, ვერც ერთ დიდ ქვეყანას ვერ უსაყვედურებ, რომ შეიძლება უნდოდეს აგენტების ყოლა, მცირე ქვეყანაში მით უმეტეს, ეს მათი საქმეა, მათი პრეროგატივაა, მაგრამ როდესაც ადამიანი, ქართველი შედის სხვა ქვეყნის სამსახურში, ეს არის აპრიორი სათაკილო მოვლენა, ვისი აგენტიც არ უნდა იყო, იმიტომ, რომ რაღაც მომენტში შენ აუცილებლად გიწევს ისეთი ნაბიჯის გადადგმა იძულებით, რომელიც შეიძლება შენ ქვეყანას დაუპირისპირდეს. ამიტომ ეს არის პირველი დასკვნა, რომელიც საზოგადოებამ გამოიტანა.**

**მეორე – ასევე ერთმანეთისგან გამიჯნა საზოგადოებამ ის, თუ ვინ არის აგენტი, ვინ არა, ვინ რა საქმიანობით არის დაკავებული ჩვენს ქვეყანაში, ესეც იყო ძალიან მნიშვნელოვანი რამ და მესამე – ჩვენ ხშირად ვსაუბრობთ ბაკურიანის გეგმებზე, ამ გეგმის პატარა გამოვლინება იყო ის პროცესები, რომელიც ვიხილეთ წინა კვირის განმავლობაში, ეს გეგმა კიდევ ერთხელ ჩავარდა, პირველი მცდელობა იყო კანდიდატის სტატუსის არმიღების შემდეგ, ჩაუვარდათ, ახლა კიდევ ერთხელ ჩაუვარდათ ეს გეგმა“...**

პარლამენტის თავმჯდომარის **შალვა პაპუაშვილის** განცხადებით, ბოლო პერიოდში გამოჩნდა, რომ არასამთავრობო სექტორს სჭირდება გადატვირთვა, რადგან, მისი თქმით, კრიზისი, რომელიც ამ სექტორში არსებობს ფარისევლობის სახით, უნდა გადალახონ.

**„რამდენიმე ე.წ. გავლენიანი ორგანიზაციაა, რომელიც დომინირებს ამ სფეროში, თრგუნავს სხვა ორგანიზაციებს, რომელთა უმეტესობა, 99 პროცენტი დაკავებულია სოციალური, საგანმანათლებლო თუ სხვა საკითხებით, რომელიც მნიშვნელოვანია როგორც ცენტრში, ისე რეგიონებში. რამდენიმე დომინანტი ორგანიზაციაა, რომლის მიმართაც პატარა ორგანიზაციებს შიში და რიდი აქვთ, სწორედ იმის გამო, რომ იციან, ამ ორგანიზაციებს აქვთ უნარი, სხვა ორგანიზაციები ჩარეცხონ, გარიყონ, არ მიაკარონ ფონდებს. ამის გამო სხვა ორგანიზაციებში გარკვეული შიშია ე.წ. დომინანტი ორგანიზაციების მიმართ. ვფიქრობ, შიგნით სამოქალაქო სექტორში მათ უნდა განიხილონ ეს საკითხი, რაღაცნაირად მოახერხონ და გადატვირთონ ეს სიტუაცია“**, – აღნიშნა **შალვა პაპუაშვილმა.**

ანალიტიკოსის **დავით ქართველიშვილის** შეფასებით, მისთვის ძირითადად, ლუსტრაცია შეეხო არა ზოგადად იმ აპრობირებულ პრაქტიკას, როდესაც უცხოეთის ესა თუ ის ორგანიზაციები, სამთავრობო, თუ არასამთავრობო ხაზით აფინანსებენ საქართველოში თავისი გავლენის ქვეშ მყოფ ორგანიზაციებს, რაც ნორმალურია და მსოფლიოში აპრობირებული პრაქტიკაა, მაგრამ, როგორც ჩანს, შეეხო იმ ძირითად უკმაყოფილო მასას, რომელიც წლების განმავლობაში ათობით მილიონობით დოლარს იღებდა, იღებდა არა ჩვენი ისტორიის, კულტურის, ეკლესიის, საზოგადოებრივ-სოციალური კეთილდღეობის ასამაღლებლად, არამედ ზუსტად იმისთვის, რა დესტრუქციულ პროცესებს ვაკვირდებით წლების განმავლობაში.

**„ამის გამჭვირვალობა და ამის გამოაშკარავება, რა თქმა უნდა, არ შედიოდა არც ადგილობრივი ბენეფიციარების და არც მათი დონორი დამფინანსებლის გეგმებში. ამიტომ ვიხილეთ ეს ორკესტრირებული ისტერია, რომ რამენაირად ჩავარდანილიყო ეს კანონი საქართველოში, მაშინ, როდესაც აბსოლუტურად იდენტური კანონების განხილვა მიმდინარეობს მთელ რიგ ევროპულ და არაევროპულ ქვეყანაში“**, – აცხადებს ქართველიშვილი.

როგორც ანალიტიკოსი აცხადებს, ერთი მხრივ, ეს არის სირცხვილი და, რა თქმა უნდა, ფართომასშტაბიანი ლუსტრაცია ყველა იმ დესტრუქციული ძალების და მათი სავარაუდო დონორების, რომლებსაც საქართველოში ჰყავთ რადიკალების უზარმაზარი არმია, რომელსაც ისინი ყოველ წელს ფინანსურად ასაზრდოებენ.

**„ზრდიდნენ მათში იმ ადამიანებს, რომლებსაც მე გენმოდიფიცირებულ საქართველოს ვუწოდებ. ადამიანებს, რომლებიც ებრძვიან ჩვენ ტრადიციებს, იდენტობას, ნებისმიერ ეროვნულ ხელისუფლებას, რათა ეს საქართველო გახდეს მათი გამოზრდილი, ზომბირებული ბიომასით დასახლებულ ტერიტორიად, რომლის მართვაც ძალიან ადვილია მათთვის. ეს არის ე.წ. გლობალური ომის პარტია, რომელიც მეტასტაზებივით არის მოდებული მთელ მსოფლიოს და განსაკუთრებულად საქართველოში 2003 წლიდან ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, ვინ არიან და რას წარმოადგენენ. თქვენ წარმოიდგინეთ, ის ადამიანები, რომლებიც 2003-დან 2012 წლის ჩათვლით ოპოზიციაში იყვნენ სააკაშვილის რეჟიმთან და ამ გლობალური ომის პარტიის მესვეურებთან, იდევნებოდნენ, იბულინგებოდნენ და იტანჯებოდნენ მათი მხრიდან, დღეს ხელისუფლების მომხრეები ისევ იმ ძალების მხრიდან ვიბულინგებით, ვიტანჯებით და ვიდევნებით. ანუ, ჩვენ არაფერი არ შეგვეცვალა. იმდენად მძლავრია ის ფინანსური დამოკიდებულება ამ გაავებული რადიკალებისთვის, რომ საკუთარი კეთილდღეობის და ფულის გულისთვის მათთვის პრობლემას არ წარმოადგენს მაქსიმალური ზიანი მიაყენონ „სამშობლოს“ და ამ „სახელმწიფოს“**, – აღნიშნა დავით ქართველიშვილმა.

თამთა ქარჩავა



...მოკლედ, ასეთი ამბავია, დიმა ჩიქოვანი არის კეზერაშვილის ცოლის ძმა. კეზერაშვილი და მერაბიშვილი სხვა ტელევიზიებთან და ორგანიზაციებთან ერთად დიმა ჩიქოვანის ხელით აფინანსებენ ორგანიზაციას „ნაბიჯი“, რომელიც აქტიურად ყოფილა ჩართული ბოლო დღეების მოვლენებში და მიბარებული აქვთ სტუდენტების და ლექტორების ბულინგის მიმართულება.

რას კადრულობენ ხვდებით? ბოლშევიკურ თუ ფაშისტურ განცხადებებს თხოვენ და ფულს უხდიან ამაში.

# დავიჭიროთ, მკლავი მოვჭრათ, რატომ კარგი აუგია!!!




## ქუთაისის საერთაშორისო: უნივერსიტეტის ყველა პროგრამა ხორციელდება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და ექვემდებარება აკრედიტაციის პროცედურას

ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი (KIU) საგნებ განცხადებას ავრცელებს.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი (KIU) ეხმიანება ზოგიერთი მედიასაშუალებით გავრცელებულ არაზუსტ ინფორმაციას უნივერსიტეტის აკრედიტაციის საკითხთან დაკავშირებით და დაინტერესებულ საზოგადოებას აცნობებს, რომ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ყველა პროგრამა ხორციელდება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და ექვემდებარება აკრედიტაციის პროცედურას, საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს მიერ გარე რეფერირებისა და კოლეგიალური ურთიერთშეფასების (peer-review) მოთხოვნების შესაბამისად.

**„საბჭო ამავდროულად წარმოადგენს უნივერსიტეტის ხარისხის გარე მაკონტროლებელ მექანიზმს. დამატებით, უნივერსიტეტს აქვს ვალდებულება, ყველა საგანმანათლებლო პროგრამა აღიარებისთვის წარადგინოს საერთაშორისო აკრედიტაციის სააგენტოებში. ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში მოქმედი ყველა საგანმანათლებლო პროგრამა შექმნილია მსოფლიოს წამყვან მიუნხენის ტექნიკურ უნივერსიტეტთან (TUM) თანამშრომლობით და, სწორედ, TUM-ის პროგრამების ანალოგს წარმოადგენს. KIU-ს საგანმანათლებლო პროგრამები დამტკიცებულია საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს მიერ, რომელიც შედგება მსოფლიოში ცნობილი მეცნიერებისა და პროფესორებისაგან. აღსანიშნავია, რომ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში სწავლების ხარისხის კონტროლს სწორედ საერთაშორისო მრჩეველთა საბჭო უზრუნველყოფს. KIU-ს საგანმანათლებლო პროგრამების ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობას დამატებით უზრუნველყოფს TUM International, რომელიც მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის შვილობილი ორგანიზაციაა და ის ხელს უწყობს აკადემიური პროგრამებისა და მათი ხარისხის განვითარებას ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში“.**



## მიხეილ ჩხენკელი: ქუთაისის ევროპული უნივერსიტეტი მიუნხენის უნივერსიტეტის პროგრამით გადის ავტორიზაციას!

**ზოგიერთი სატელევიზიო არხის მიერ გავრცელდა სრული დეზინფორმაცია ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის შესახებ. მინდა საზოგადოებას ვაცნობო, რომ ქუთაისის საერთაშორისოო უნივერსიტეტის ყველა პროგრამა გადის აკრედიტაციის პროცესს, რომელიც შეესაბამება უმაღლეს საერთაშორისო სტანდარტს,** – ამის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა განაცხადა.

**„ამ პროცესს ახორციელებს საერთაშორისო საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან მსოფლიოში ცნობილი პროფესორები. ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის აკადემიური პროგრამები წარმოადგენს მიუნხენის უნივერსიტეტის შესაბამისი აკადემიური პროგრამების ანალოგს. ლექციებს ქართველ პროფესორებთან ერთად, კითხულობენ პროფესორები მსოფლიოს უნივერსიტეტებიდან. ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის იდეისა და კონცეფციის ავტორი გახლავთ ბიძინა ივანიშვილი და სწორედ მისი და მისი ოჯახის უაღრესად მნიშვნელოვანი ქველმოქმედების შედეგად, საქართველოში ჩვენ გვაქვს მსოფლიო სტანდარტის შესაბამისი ჭეშმარიტად ევროპული უნივერსიტეტი“.**

ოპოზიციურმა მედიასაშუალებებმა, მოამზადეს სიუჟეტი, სადაც ნათქვამია, რომ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი კონკრეტული პრივილეგიებით სარგებლობს და ავტორიზაციის გარეშე აგრძელებს მუშაობას.

## ალექსანდრე თევზაძე: ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტისთვის ორმაგი აკრედიტაცია სავალდებულოა!



გავრცელებულ ცრუ ინფორმაციაზე განცხადება გააკეთა ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორმა **ალექსანდრე თევზაძემ.**

**„ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი ყველა პროგრამას აკრედიტებულ რეჟიმში ახორციელებს. უფრო მეტიც, აკრედიტაციის სტანდარტი, რომელიც ჩვენს უნივერსიტეტს მოეთხოვება, გაცილებით მეტია, ვიდრე ის მოთხოვნები, რომელიც საერთოდ საქართველოშია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის. ჩვენი პროგრამა მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის ანალოგია და ხორციელდება მას შემდეგ, რაც მას გარე შეფასების მექანიზმი – საერთაშორისო საბჭო დაადასტურებს. დამატებით, აკრედიტებულ პროგრამებზე ვალდებული ვართ, წარვადგინოთ საერთაშორისო სააგენტოებში მეორადი აკრედიტაციისთვის. ანუ, ორმაგი აკრედიტაცია ჩვენთვის სავალდებულოა. ეს არის ის სტანდარტი, რაც გაცილებით მეტია, ვიდრე ნებისმიერ უნივერსიტეტს მოეთხოვება არა მხოლოდ საქართველოში, არამედ – ევროპაში. ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი არის სახელმწიფო უნივერსიტეტი. არსებული კანონმდებლობა „უმაღლესი განათლების შესახებ“ არ იძლეოდა საშუალებას ახალი უნივერსიტეტის დაარსებისთვის, ამიტომაც შეიქმნა სპეციალური კანონი, რომელმაც საშუალება მოგვცა დაგვეფუძნებინა ახალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი, რომელიც უკვე ასწავლის აკრედიტებულ და ავტორიზებულ რეჟიმში“,** – განაცხადა ალექსანდრე თევზაძემ.



## ნიკოლოზ ჩხეტიანი: ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტიდან არანაირ შემოსავალს არ ვიღებთ!..

**ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი არის სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი, ფონდი „ქართუსთვის“ ეს არის წმინდა წყლის საქველმოქმედო პროექტი, ბუნებრივია, იქიდან არანაირ შემოსავალს არ ვიღებთ, პირიქით – პროექტს გიგანტურ თანხებს ვახარჯავთ.**

**ეს შეეხება როგორც მშენებლობას, ისე ამ უნივერსიტეტის ყოველწლიურ შენახვას,** – ამის შესახებ ფონდ „ქართუს“ გამგეობის თავმჯდომარემ, ნიკოლოზ ჩხეტიანმა განაცხადა.

**„არ გვაკვირვებს ის პროპაგანდისტული თავდასხმები და მესიჯბოქსი, რომელსაც მუდმივად იმეორებს პოლიტიკურად ანგაჟირებული მედია. გუშინდელ გადაცემაში კიდევ ერთხელ გაჟღერდა მცდარი ინფორმაცია, ვითომ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი წარმოადგენს ბიძინა ივანიშვილის კერძო პირად უნივერსიტეტს, რაც, რა თქმა უნდა, სიცრუეა. ეს არის სახელმწიფო უნივერსიტეტი. პირველად, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, ნულიდან შეიქმნა ახალი სახელმწიფო უნივერსიტეტი“,** – აღნიშნა ნიკოლოზ ჩხეტიანმა.





# არ დავუშვათ საქართველოს „სტრატეგიული მარტოობა“!

**საქართველოში შექმნილი ვითარება უაღრესად რთულია. უკანასკნელ ხანს განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენეს, რომ ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის მნიშვნელოვანი საკითხების გარშემო კონსესუსი არ არსებობს. ამის დასტურია „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მიღების მცდელობა.**

სამართლებრივი პროცესი პარლამენტში იმგვარად წარიმართა, რომ მმართველმა ძალებმა საკუთარი პოზიციის მართებულობაში ვერავინ დაარწმუნეს ქვეყნის შიგნით თუ გარეთ. კლიენტელისტური ჯგუფების მხარდაჭერა ამ შემთხვევაში საკმარისი არ არის. განაცხადი, რომ საკუთარი მოქმედების განმარტება დაიწყება კანონის განხილვის იძულებითი ჩაგდების შემდეგ, უკან მიდევნებულ ლამპარს გავს, მავნესა და უსარგებლოს. მთელი პროცესი წარიმართა არაპროფესიონალურად და რესენტიმენტებზე დაყრდნობით. ჯგუფი, რომელიც უმნიშვნელოვანეს პრობლემაზე მუშაობდა, არაკომპეტენტური და პოლიტიკურად არაშორისმჭვრეტელი აღმოჩნდა. ნებისმიერი კანონი უჰაერო სივრცეში არ იქმნება. მინიმალურად მაინც უნდა იქნეს გათვალისწინებული ის გარემოება, მზად არის თუ არა საზოგადოება მის მისაღებად და რა ავ-კარგის მომტანია იგი საბოლოოდ.

ყოველივე ზემოთქმულს ემატება დღეს კავკასიაში, ევროპასა და მსოფლიოში შექმნილი გეოპოლიტიკური ვითარება, რომელიც ჩვენგან დიდ სიფრთხილესა და წინდახედულობას ითხოვს. საქართველომ ყოველნაირად უნდა აარიდოს თავი სტრატეგიული მარტოობის საფრთხეს. უხეირო საკანონმდებლო მუშაობა კი ხელს უწყობს უნდობლობას საქართველოსა და მის პარტნიორებს შორის. ახლა დაგვჭირდება დიდი ძალისხმევა ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ვერც იმას ვიტყვით, რომ შემთხვევითობასთან გვაქვს საქმე. მინიმუმ შარლ მიშელის დოკუმენტზე ხელმოწერის უკან გაწვევის დროიდან საქართველოს ხელისუფლების პოზიციის სიმყარის თაობაზე დასავლეთში დაეჭვება აშკარად იგრძნობა. არის მცდელობა, იდეოლოგიური და მსოფლმხედველობრივი საფუძველიც მოიძებნოს ევროპასთან დისტანცირების გასამართლებლად.

ეს ხდება იმ პირობებში, როდესაც კავკასიის მოსაზღვრე რეგიონში და შავ ზღვაზე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მიმდინარეობს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისთვის. ამ ბრძოლას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოსთვის. ხოლო დასავლეთის ნებისა და ძლევამოსილების გარეშე ეს დაპირისპირება წარმატებით ვერ დასრულდება.

დიახ, მშვიდობა მნიშვნელოვანია, ძალიან მნიშვნელოვანიც და სწორედ ამ მშვიდობის შენარჩუნებისათვის აუცილებელია სტრატეგიული მარტოობის თავიდან აცილება. ეს საფრთხე აშკარა გახდა სწორედ კანონის პირველი მოსმენით მიღების შემდეგ. მნიშვნელოვანია არა მხოლოდ 12 პუნქტის შესრულება, არამედ წარმოქმნილი უნდობლობის ყინულის გადნობაც.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ დასავლეთი უმძიმეს ბრძოლაში არის ჩართული არა მხოლოდ უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, არამედ საკუთარი უსაფრთხოების სისტემის შესანარჩუნებლად. სწორედ ამ დრამატულ ვითარებაში გაჩნდა ევროკავშირის გაფართოების რეალური შესაძლებლობა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ გაერთიანებაში უპირველეს ყოვლისა მოხვდებიან ის მეგობრები, რომელთა ერთგულებაში დასავლეთს ეჭვი არ შეეპარება. ყველა სხვა დადებითი მონაცემი მეორადია.

ამიტომაც სულაც არ არის გასაკვირი, რომ ავადსახსენებელი კანონი აღმოჩნდა წითელი ხაზის გადაკვეთის უზადრუკი მცდელობა, უმრავლესობის მიერ მისი პირველი მოსმენით მიღება კი - მძიმე შეცდომა. სამომავლოდ პარლამენტმა კანონების მომზადება უნდა დაავალოს იმ ჯგუფებს, რომლებიც არ არიან ევროსკეპტიკოსები და მინიმალურად მაინც გაართმევენ თავს მათ წინაშე მდგარ სამართლებრივ და პოლიტიკურ ამოცანებს. პარლამენტის უმრავლესობამ კი კანონშემოქმედების პროცესში უნდა გამოიჩინოს შესაფერი გონიერება და სიდინჯე. ამ სამწუხარო შემთხვევის გამო შეიძლება გავიხსენოთ კლასიკოსის ცნობილი სიტყვები „ცხოვრების მაგალითადა ბრიყვები დამისახოდი“.

ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს ერთი დადებითი ტენდენციაც ახლდა თან – ახალგაზრდების, უმთავრესად კი სტუდენტობის აქტიურობა, რამაც სწრაფად გამოიღო შესაბამისი შედეგი. სამწუხაროდ, ამ შემთხვევაშიც გაისმა სკეპტიკოსთა ხმები, თითქოს ახალგაზრდებს უჭირთ საკუთარი ჭარბი ენერგიის სწორად მართვა. ეს სერიოზული შეცდომაა. ქართველმა სტუდენტობამ სწორად წარმართა საკუთარი საქმიანობა 1978 წლის 14 აპრილს, რთული გამოცდა წარმატებით ჩააბარა მან 1989 წლის 9 აპრილსაც. დღევანდელი სტუდენტობა მათი მემკვიდრეა. იმედს გამოვთქვამთ, რომ ეს ტრადიცია არც მომავალში შეწყდება და ახალგაზრდები საკუთარ შვილებს გადასცემენ ქვეყნის სიყვარულს, მისთვის თავდადებასა და ყოველივე მოწინავესადმი ერთგულებას.

სტუდენტი-ახალგაზრდობის კეთილშობილური მიზნების აღსრულება ორგანულად არის დაკავშირებული კონკურენტული განათლებისა და ცოდნის მიღებასთან, რაც დასავლურ სამყაროსთან მჭიდრო კონტაქტის გარეშე გართულდება. ეს შესაძლებლობას მისცემს, საქართველოს აქტიური მონაწილეობა მიიღოს ახალი სამყაროს ფორმირებაში.

ვფიქრობთ, განვლილი განსაცდელი ყველასთვის ჭკუის სასწავლებელი იქნება. საქართველო გამოიყენებს იმ ისტორიულ შანსს, რომელიც გაჩნდა და იმავდროულად თავიდან აიცილებს სერიოზულ საფრთხეებს, რაც ამ შესაძლებლობას ახლავს თან. საჭიროა მოქალაქეთა აქტიურობა და ძალისხმევის სწორად წარმართვა.

ასეთ შემთხვევაში ჩვენი ქვეყანა საბოლოოდ დაიმკვიდრებს კუთვნილ და ღირსეულ ადგილს დასავლურ სამყაროსა და მთელ მსოფლიოში.

**პაატა კოღუაშვილი,**
**ნიკა სანებლიძე**
**საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრები**

# ისევ აბსურდული მოთხოვნა!

## თუ ახლა ვინმეს ვადამდელი არჩევნების დანიშვნა არ უნდა აწყობდეს, ეს ოპოზიციაა




**7-8 მარტის მოვლენების შემდეგ ვადამდელი არჩევნების დანიშვნის თემა ოპოზიციაში არაერთხელ გახმაურდა, თუმცა გაუგებარია, რაში უნდა აწყობდეს არჩევნებამდე წელიწადნახევრით ადრე რეიტინგდაცემულ ოპოზიციას ვადამდელი არჩევნების დანიშვნა?**

**ყველა სოციოლოგიური კვლევების მიხედვით, პატარა პარტიები 2%-ს ძლივს აღწევენ. ამიტომ გამოდის, რომ ყველაზე მეტად ვადამდელი არჩევნების დანიშვნა ისევ ხელისუფლების გამარჯვებით დასრულდება, რადგან ბოლო მოვლენების განვითარების მიუხედავად, „ოცნებას“ აქვს რესურსი, რომ პარლამენტში ოპოზიციაზე მეტი ხმა კვლავაც აიღოს.**

**ერთ წელიწადში გახურდება საარჩევნო კამპანია, რაღა დროს ვადამდელ არჩევნებზეა საუბარი?!** – ასე უპასუხა „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ **ირაკლი კობახიძემ** ჟურნალისტების შეკითხვას, რომელიც ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის შესაძლებლობას შეეხებოდა. მისივე თქმით, ვადამდელი არჩევნები თვითონ ოპოზიციას არ აწყობს.

**თამარ ჩერგოლეიშვილის** აზრით, ხვალ რომ არჩევნები ჩატარდეს და ოპოზიციამ მოიგოს, ხელისუფლებაში მიშა სააკაშვილი, ვანო მერაბიშვილი, დავით კეზერაშვილი, ხაზეიშვილი და ვაშაძე მოვლენ...

ანალიტიკოსი **გია აბაშიძე** ამბობს, რომ ხელისუფლების მშვიდობაზე ორიენტირებულმა პოლიტიკამ, „ოცნებას“ კიდევ უფრო მეტი რეიტინგი შესძინა, შესაბამისად, თუ ახლა ვინმეს ვადამდელი არჩევნების დანიშვნა არ უნდა აწყობდეს, ეს ოპოზიციაა. ბევრ მათგანს ბოლო კვლევების მიხედვით, პულსი საერთოდ არ ესინჯება, ამიტომ გაუგებარია, რაში უნდა სჭირდებოდეს რეიტინგდაცემულ პოლიტიკურ სპექტრს ვადამდელი არჩევნების დანიშვნა.

**– ქართველ საზოგადოებაში არსებობს მდუმარე უმრავლესობა, რომელიც ქუჩაში არ გამოდის, რადგან დაპირისპირება და სამოქალაქო არეულობა არ სურს. თუმცა ეს ხალხი საარჩევნო ყუთთან ყოველთვის მიდის და ხმას „ოცნებას“ აძლევს. ოპოზიცია მაინც საკუთარი ახირებების**





# დაუსაბუთებელი ჟინი ლიკა ბასილაიასი...

## გია მურღულია: ამ ქალბატონის რიტორიკის ევროპული „გარსის" შიგნით მოჩანს მკაფიოდ გამოკვეთილი ბოლშევიზმი!



გიორგი გვიმრაძე

**საზოგადოებრივი მაუყებლის სამეურვეო საბჭოს წევრი ლიკა ბასილაია ცდილობს, საზოგადოებას თავი მოაჩვენოს საქართველოს ევროპული ორიენტაციის დამცველად. უნდა ითქვას, რომ ეს არასდროს გამოსდის, რადგან მისი რიტორიკის ევროპული „გარსის" შიგნით მოჩანს აზროვნებისა თუ ქცევის მკაფიოდ გამოკვეთილი ბოლშევიზმი,** – ამის შესახებ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრი **გია მურღულია** სოციალურ ქსელში წერს.

**„16 მარტს საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს სხდომაზე ამ საბჭოს წევრმა, ლიკა ბასილაიამ გააკეთა განცხადება (როგორც მან თქვა, საბჭოს ორი სხვა წევრის – ლაშა ტუღუშისა და ზაზა აბაშიძის სახელითაც ლაპარაკობდა) იმის შესახებ, რომ არხის გენერალურმა დირექტორმა უნდა შეაფასოს პირველი არხის ახალი ამბების ბლოკის ხელმძღვანელის გიორგი გვიმრაძის პოლიტიკური შეხედულებებისა და მრწამსის მდგომარეობა, წარმოადგინოს მოხსენებითი ბარათი და მანამდე მიიღოს საკადრო გადაწყვეტილება, ანუ გაათავისუფლოს თანამდებობიდან ხსენებული თანამშრომელი. მისი თქმით, გიორგი გვიმრაძე „მუდმივად ეჭვქვეშ აყენებს ჩვენი ქვეყნის ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესს, სვამს გაურკვეველ შეკითხვებს", რამაც თურმე „ბევრი კითხვა გაუჩინა მოსახლეობის ფართო ფენებს".**

**რა უნდა ვთქვათ ამის შესახებ? ჯერ – ზოგადად:**

**ძნელად დასაჯერებელია, რომ ლიკა ბასილაიას ასეთი მომენტალური და უტყუარი კონტაქტი ჰქონდეს მოსახლეობის „ფართო ფენებთან", რომ შესაბამისი კვლევის, ანალიზის, შეფასებისა და დასკვნის გარეშე გამოიტანოს „საბოლოო დასკვნები" და რაღაც უაპელაციოდ ამტკიცოს – ზოგი ვერაფრით გადაეჩვია ხალხის სახელით ლაპარაკს, როდესაც არც ხალხთან და არც სახელთან ახლოსაც არ გაუვლია.**

**ახლა – კონკრეტულად:**

**1. სამეურვეო საბჭოს ერთი (თუნდაც სამი) წევრის მოსაზრება არ არის მთლიანად საბჭოს პოზიცია (ამას ხმათა უმრავლესობა სჭირდება) და ბორდის ოფიციალურ განცხადებად ვერ ჩაითვლება. ვფიქრობ, საბჭო, სწორედ ხმათა უმრავლესობით, თავად გადაწყვეტს, როგორი პოზიცია უნდა გამოხატოს აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით;**

**2. გიორგი გვიმრაძეს, როგორც ჟურნალისტსა და გადაცემის წამყვანს, სრული უფლება აქვს, დასვას კითხვები, რომლებიც საზოგადოებისთვის ნათელს გახდის ხელისუფლებისა თუ ოპოზიციის დამოკიდებულებას ამა თუ იმ მნიშვნელოვანი პოლიტიკური თუ სოციალური საკითხის მიმართ. როდესაც ჟურნალისტი ასეთ კითხვას სვამს ან მინიმალურად მაინც დასაშვებ ვარაუდს გამოთქვამს, არ არის აუცილებელი, გამოთქმული მოსაზრება მუდმივად მის პირად პოზიციად მივიჩნიოთ. როგორც ჩანს, ლიკა ბასილაიას ნანახისა თუ მოსმენილის აღქმისა და გააზრების სერიოზული პრობლემა აქვს და სურს, ეს თემა საზოგადოებისთვის აქტუალური გახადოს – უკიდურესად ძნელი და, ამასთან, უინტერესო მისიაა;**

**3. ამ ქალბატონს, ზოგადად, საჯაროდ თუ უფრო ვიწრო წრეში, მოსაზრების (ასეთი ფორმულირება – „მოსაზრება" – ამ შემთხვევაში ძნელად გამოსათქმელია) კორექტულად, ადეკვატურად და დასაბუთებულად გამოხატვის დიდი პრობლემა აქვს – უხერხული და მიუღებელია, როდესაც ტელევიზიის სამეურვეო საბჭოს წევრი გახმამყივარებით, საგანგებოდ შემაწუხებელი წივილ-კივილითა და ყოველგვარი ეტიკეტის დარღვევით (ასეთი რამ, სამწუხაროდ, არაერთხელ გვინახავს) ცდილობს საკუთარ (პრაქტიკულად – მუდმივად მცდარ და რეალობას მოკლებულ) შეხედულებათა დამკვიდრებას;**

**4. ლიკა ბასილაია ყოველ ახალ ჯერზე ცდილობს (ზოგჯერ – ძალიან სასაცილოდ), საზოგადოებას თავი მოაჩვენოს, როგორც საქართველოს ევროპული ორიენტაციის დამცველმა. უნდა ითქვას, რომ ეს არასდროს გამოსდის, რადგან მისი რიტორიკის ევროპული „გარსის" შიგნით მუდმივად მოჩანს აზროვნებისა თუ ქცევის მკაფიოდ გამოკვეთილი ბოლშევიზმი, მოძალადის სახე და განსხვავებული აზრის**



ზაზა აბაშიძე



ლაშა ტუღუში

**სრული მიუღებლობა. ამას ყოველთვის ახლავს ნებისმიერი ოპონენტის მიმართ შეურაცხმყოფელი გამონათქვამები, რომელთა კონფლიქტი ელემენტარულ ზრდილობასთან სრულიად აშკარაა;**

**5. არც ამ ქალბატონს, არც მის ბრალდებებს არაფერი აქვს საერთო საქართველოს ევროპულ ორიენტაციასთან (მართლა ცუდად გვქონია საქმე, ეს ისტორიული არჩევანი ლიკა ბასილაიას დასაცავი თუ გახდა) და, ვფიქრობ, ჩვენი საზოგადოება მის პოზიციას, რომელიც შეურაცხყოფას აყენებს მთლიანად საზოგადოებრივი მაუწყებლის პროფესიულ რეპუტაციასა და მიუკერძოებლობას (მიუკერძოებლობა კი არაერთხელ დადასტურდა როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ოფიციალური დასკვნებით), სრულიად ადეკვატურად შეაფასებს;**

**6. ლიკა ბასილაია უხეშად და დაუსაბუთებელი ჟინით „სურვილობს", ჩაერიოს პირველი არხის მმართველობის კომპეტენციაში, მუდმივად და ახირებულად ცდილობს, ტელევიზიის შემოქმედებით პროფესიულ საქმიანობაში შემოიტანოს დაძაბულობა, უსაფუძვლო დაეჭვება, დესტრუქცია და დაამკვიდროს სრულიად გაუმართლებელი „ხედვები". ვფიქრობ, ჩვენი ტელევიზიის მმართველი გუნდი და თითოეული თანამშრომელი ასეთ მცდელობებს ჩვეული სიმშვიდით, ეთიკური პრინციპების შეგნებული დაცვით შეხვდება და პროფესიულად გააგრძელებს იმ მიზანთა მიღწევას, რომლებიც განსაზღვრულია შესაბამისი კანონითა და დადგენილი პრიორიტეტებით.**

**ბატონებმა: ლაშა ტუღუშმა და ზაზა აბაშიძემ საჯაროდ უნდა დაადასტურონ ან უარყონ ლიკა ბასილაიას მიერ გაკეთებული განცხადება. ამის შემდეგ მოგვეცემა შესაძლებლობა, მათი პოზიციაც ნათლად წარმოვიდგინოთ".**

* * *

სამეურვეო საბჭოს ბოლო სხდომაზე ლიკა ბასილაია-შავგულიძემ თქვა, რომ განცხადებას აკეთებს თავისი, ასევე ლაშა ტუღუშისა და ზაზა აბაშიძის სახელით.

**ამასთან, ლიკა ბასილაია-შავგულიძის, ლაშა ტუღუშისა და ზაზა აბაშიძის განცხადებაზე საპასუხო განცხადება გაავრცელა საქართველოს პირველმა არხმა.**

**ტყვეობაშია. მათ იმედი აქვთ, რომ ამღვრეულ წყალში თევზს დაიჭერენ და თუნდაც ერთი წლით ხელისუფლებაში მოვლენ. ეს ხალხი კი ყველამ კარგად იცის, ვინც არიან.**

**რუსთაველზე გამოსულმა ხალხმაც კარგად იცის „ოცნების" წასვლის შემთხვევაში ხელისუფლებაში ვინც ბრუნდება. ბიუჯეტის ქურდი და ჯარის გამძარცველი დავით კეზერაშვილი რესურსების მაქსიმუმს ხარჯავს იმისთვის, რომ მორიგი ე.წ. რევოლუცია მოახდინოს.**

**ეს კი უკვე ვანო მერაბიშვილს ათქმევინა. მერაბიშვილი ენმ-ის თავმჯდომარეობისთვის ემზადება და ის თავის პოლიტიკურ დღის წესრიგს მიჰყვება. რა თქმა უნდა, ამ ორ ადამიანს ამბიცია აქვთ და ფიქრობენ, რომ ეს შანსი ახლა აქვთ და იქნებ ამღვრეულ წყალში დიდი თევზიც კი დაიჭირონ,** – ამბობს აბაშიძე.

მისივე თქმით, პატარა კონსტრუქციულ პარტიებს შანსი აქვთ, რომ 2024 წლამდე მოემზადონ, საზოგადეობას საკუთარი თავი მაქსიმალურად დაანახონ და პარლამენტშიც შესვლის შანსები გაუჩნდეთ. აბაშიძე ამბობს, რომ ეს ნაციონალებს არ აწყობთ, რადგანაც ისედაც დემორალიზებულ პარტიას თუკი ოპოზიციურ ფლანგზე კონკურენტი გამოუჩნდა, მათი შანსები დაიკლებს, ამიტომაც ჩქარობენ.

ანალიტიკოსი **ნიკა ჩიტაძე** კი ფიქრობს, რომ ვადამდელი არჩევნები არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ უნდა აწყობდეს. ჩიტაძე ამბობს, რომ 7-8 მარტის მოვლენები ოპოზიციისთვისაც და ხელისუფლებისთვისაც მნიშვნელოვანი გაკვეთილი უნდა იყოს. ის მიიჩნევს, რომ ხალხი, რომელიც რუსთაველზე იყო გამოსული, ოპოზიციას არ გამოუყვანია. კარგად უნდა ესმოდეთ, რომ სწორედ ამ მოვლენების ფონზე ხალხთან უფრო მეტი აქვთ სამუშაო. ხოლო ხელისუფლება, ხვალვე რომ არჩევნები დანიშნოს, მაინც ოპოზიციაზე მეტ ხმებს აიღებს.

**...საერთოდ არ ვფიქრობ, რომ ახლა ვადამდელი არჩევნების დანიშვნაა საჭირო. ეს არის ძალიან დიდი სისულელე, რამაც შეიძლება ქვეყანა კიდევ უფრო მძიმე კრიზისამდე მიიყვანოს.**

**პროცესები ახლა მაქსიმალურად უნდა ჩაწყნარდეს და ქვეყანა 2024 წლის არჩევნებამდე მშვიდობიანად მივიდეს. მართლაც აბსურდი და პოლიტიკური ანალიზის არქონაა, როცა ოპოზიციაში ვიღაცას ჰგონია, რომ რუსთაველზე გამოსული ხალხი მათი გამოყვანილია. არაერთი მცდელობა ჰქონდა ოპოზიციას ქუჩის აქციების, მაგრამ ხალხი მათ არ გაჰყვა.**

**რუსთაველზე პროცესებს თავად ხალხი მართავდა და პოლიტიკოსები, უბრალოდ, მისდევდნენ. ამიტომ, ეს ილუზიები საჭირო არაა და რეალური ანალიზია საჭირო, რა მოხდა 7 და 8 მარტს. ახლა, მგონია, არც ხელისუფლებას და არც ოპოზიციას რიგგარეშე არჩევნები არ უნდა აწყობდეს. „ნაციონალური მოძრაობა" კი გადალახავს 5%-ს, მაგრამ იმ მანდატებს ვეღარ აიღებს, რაც ახლა აქვს.**

**პატარა პარტიებიც უმძიმეს მდგომარეობაში არიან, ანუ გამოდის, რომ ისევ ხელისუფლება შეძლებს მეტი ხმების აღებას. თუ კოალიციური ხელისუფლება იქნება, მით უარესი. ვინ უნდა შექმნას კოალიცია „ოცნებამ" და „ნაციონალებმა"?**

**ეს ხომ გამორიცხულია. როგორც კოჰაბიტაცია არ შედგა, ისე კოალიციური მთავრობა ვერ ჩამოყალიბდება. ქვეყანაში უმძიმესი კრიზისი შეიქმნება. მთავრობის დამტკიცება ვერ მოხდება და ეს ქვეყანას ახლა ნამდვილად არ სჭირდება!..**

**ლიკა ბერიკაშვილი**



# „კრედიტ სუისი“ გაკოტრების პირასაა, რა ელის ბიძინა ივანიშვილის მილიარდს?




**მსხვილი შვეიცარიული ბანკის, „კრედიტ სუისის“ ფინანსური მდგომარეობა არნახული ტემპით უარესდება. გუშინ ბირჟის გახსნიდან რამდენიმე საათში კომპანიის აქციების ღირებულება 20%-ით დაეცა და ბანკის საბაზრო კაპიტალიზაცია 7.5 მილიარდ დოლარამდე შემცირდა, რაც ვარდნის რეკორდული მაჩვენებელია.**

ბანკი ახლა უკვე არათუ **ბიძინა ივანიშვილთან** დაკავშირებულ ვალდებულებებს ვერ შეასრულებს, არამედ შეიძლება საერთოდ გაკოტრდეს და შვეიცარიის ეკონომიკასაც უდიდესი დარტყმა მიაყენოს.

**„კრედიტ სუისის“ პრობლემები სათავეს საუკუნის დასაწყისიდანვე იღებს, წლების განმავლობაში შვეიცარიული ბანკი არაერთ საერთაშორისო სკანდალში იყო გახვეული, იქნებოდა ეს ფულის გათეთრების შემთხვევები, მოსყიდვები, რეგულაციების უხეში დარღვევები თუ კლიენტების აქტივების არასათანადოდ განკარგვის შემთხვევები.**

**გარდა ფინანსური ზარალისა, „კრედიტ სუისის“ წინააღმდეგ არაერთ ქვეყანაში დაიწყო გამოძიება, რომელთაგან რამდენიმე დღემდეც კი გრძელდება. სწორედ 2008 წლის კრიზისის საქმესთან დაკავშირებულ სასამართლო დავაში 2022 წლის ოქტომბერში „კრედიტ სუისს“ 495 მილიონი დოლარის ჯარიმის გადახდა მოუწია.**

**2022 წელი „კრედიტ სუისისთვის“ განსაკუთრებით გამოწვევებით აღსავსე აღმოჩნდა, სულ რაღაც ერთ წელში ბანკის საბაზრო კაპიტალიზაცია 57%-ით შემცირდა, რაც იმას ცხადყოფს, რომ ინვესტორები კომპანიის მიმართ ნდობას კარგავენ.**

შვეიცარიული ბანკის, „კრედიტ სუისის“ აქციების მკვეთრი დაცემის გამოისობით ევროპული ბანკების აქციები 10 პროცენტით შემცირდა. გავრცელებული ცნობით, საბანკო სისტემაში პრობლემები ამერიკული ბანკის, „სილიკონ ველი ბანკის“ გაკოტრებასთან დაკავშირებულ მოლოდინებს უკავშირდება.

როგორც მედია წერს, ამერიკული ბანკის გაკოტრების შემდეგ, „კრედიტ სუისის“ აქციებზე ვაჭრობა დროებით შეწყდა. ევროპული ბანკების აქციების ფასი ლონდონში 6.66 პროცენტით დაეცა. პარიზის საფონდო ბირჟამ ასევე დიდი დარტყმა მიიღო, რადგან ფრანგული ბანკის, „სოსიეტე ჟენერალის“ აქციები დაეცა 10.6 პროცენტით, ხოლო „ბიენპი პარიბასის“ - 10.3 პროცენტით.

**„ევრონიუსის“ ინფორმაციით, შვეიცარიის სიდიდით მეორე ბანკის, „კრედიტ სუისის“, რომელსაც მთელი რიგი სკანდალები უკავშირდება, მთავარმა აქციონერმა განაცხადა, რომ ვერ უზრუნველყოფდა დამატებით ფინანსურ დახმარებას. როგორც მედია წერს, ბანკის აქციებს პრობლემები შეექმნა „სილიკონ ველი ბანკის“ დაშლის შემდეგ. „ევრონიუსის“ ცნობით, ისტორიულმა წარუმატებლობამ მასობრივი პანიკა გამოიწვია, მიუხედავად აშშ-ის ხელისუფლების უპრეცედენტო ჩარევისა, რომ შეეკავებინა გავრცელება და დაერწმუნებინა ბაზრები.**

**„კრედის სუისს“ მრავალწლიანი კვეთა აქვს „ქართული ოცნების“ დამფუძნებელთან ბიძინა ინავიშვილთან. ბიზნესმენის უდიდესი კაპიტალი ერთ დღეს ბანკიდან „გაქრა“. ახლა „კრედიტ სუისს“ ბიძინა ივანიშვილის 1.27 მილიარდი დოლარი მართებს, რომელსაც არ ისტუმრებს. არადა, ეს გადაწყვეტილება სასამართლოს მიერაა გამოტანილი, თუმცა ბანკი სხვადასხვა ბარიერებს ქმნის და მიზეზებს არ ილევს.**

როგორც აკადემიკოსი **ავთო სილაგაძე** აცხადებს, ბანკი ბოლო წლებში პრობლემებს განიცდის და აშკარად გამოჩნდა, რომ მისი ქმედებები არასაკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ მუშაობა ყოფილიყო ეფექტიანი.

**„ეს ვინმე კონკრეტულ პიროვნებასთან დაკავშირებული არ არის, არამედ მასობრივად, სხვადასხვა კლიენტებთან დამოკიდებულების გამო. ბანკი ისეთ ეკონომიკურ შედეგებს, როგორიც მის დიდ ავტორიტეტს შეესაბამება, რომ ვერ იღებს, ეს აშკარად ჩანს. სამწუხაროდ, ეს ბანკი ბოლო დროს არაკეთილსინდისიერად მუშაობს და შედეგებიც სახეზეა.**

**რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილთან კვეთას, ბანკი ვალდებულებას არ ასრულებს. ნაცვლად იმისა, რომ პასუხისმგებლობა აიღოს, სასამართლო გადაწყვეტილების შესრულებასაც გაურბის. რადგან ბანკს კრიზისული პერიოდი უდგას, შესაძლებელია, ვალდებულებების შეუსრულებლობის მიზეზი ფინანსური მხარეც იყოს, მაგრამ ბანკი პასუხისმგებლობის გადაბრალებას ცდილობს იმ პირზე, ვინც ემსახურებოდა ბიძინა ივანიშვილს. პასუხმისმგებლობის აცილება გაკოტრების დროსაც კი არ ხდება და ამ შემთხვევაში ბანკი გაკოტრებადე ამბობს უარს ვალდებულებების გასტუმრებაზე, ამიტომ ვფიქრობ, რომ აქ პოლიტიკური ფაქტორი უფროა“,** – განაცხადა ავთო სილაგაძემ.

„კრედიტ სუისს“ უდიდესი გავლენა აქვს შვეიცარიის ეკონომიკაზე, რადგან ის ქვეყნის რიგით მეორე უმსხვილესი საფინანსო ორგანიზაციაა. ხუთწლიან ჭრილში საფონდო ბირჟაზე „კრედიტ სუისის“ აქციების ღირებულება 85%-ითაა შემცირებული, მისი საბაზრო კაპიტალი კი ამჟამად 7 მილიარდს შეადგენს, ნაცვლად 2007 წელს გამოცხადებული 87 მილიარდისა.

**ბექა დანელია**

# თურქეთში დანგრეული ქალაქების აღსადგენად მუშახელი საქართველოდანაც წავა?!



**საქართველო კადრების სიმწირეს ყველა მიმართულებით განიცდის და მათ შორის ერთ-ერთი უპირველესი სამშენებლო დარგია. ახალი თანამშრომლების მოძიება რომ ვერ ხერხდება, ეს ცნობილი ამბავია, ამჯერად კი არსებულის შენარჩუნების პრობლემის წინაშეც დგას სექტორი.**

**არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ თურქეთის დანგრეული ქალაქების აღდგენისა და მასობრივი მშენებლობების გაჩაღების შემდეგ საქართველოდან მუშახელის გადინების ახალი ტალღა დაიწყება.**

სამშენებლო კომპანია „ბალავარის“ დამფუძნებელი **ბესო თავბერიძე** ერთ-ერთი მათგანია, ვინც ადასტურებს, რომ მუშახელის ქვეყნიდან წასვლა მიმდინარე ეტაპზე აქტუალურია და კადრების გადინება თურქეთის ფაქტორის გამოც მოხდება.

**„გვიჭირს როგორც ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, ისე მუშების მოძებნაც. ძალიან ბევრია წასული ევროპაში სამუშაოდ, ახლა კი თურქეთში მომხდარი მიწისძვრის გამოც ველოდებით, რომ გადინება დაიწყება. ეს ძალიან დიდი დაბრკოლებაა ჩვენი საქმიანობის პროცესში. სულ ძიებაში ვართ, ერთი პერიოდი „ტექნიკურ უნივერსიტეტშიც“ ვიყავი სამშენებლო ფაკულტეტზე, მინდოდა, რომ დამამთავრებელი კურსის სტუდენტები წამეყვანა ჩემთან, სტაჟირება გამეტარებინა, მაგრამ, სამწუხაროდ, აქაც ვერ ვნახეთ ის კადრი, ვისაც ვეძებდით“,** – განაცხადა ბესო თავბერიძემ.

„ინნ ჯგუფის“ დამფუძნებელი **პაატა კოკაიაც** ამბობს, რომ დაზარალებული ქვეყანა მალე დაიწყებს მშენებლობის პროცესს, რაც საქართველოდან კადრების გადინებას გამოიწვევს.

**„თურქეთი არ არის მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყანა. აუცილებლად დაიწყება მშენებლობა და შესაბამისად, გაძვირდება მასალები. ვფიქრობ, კადრების გადინება კიდევ უფრო მეტად მოხდება. თურქეთი აქვეა და მარტივად გადადიან ჩვენი მოქალაქეები. იქ სამუშაო უზარმაზარი იქნება. თანაც ეს ქვეყანა უზარმაზარ მშენებლობას რომ დაიწყებს, ჩვენთან მასალებიც გაძვირდება და მუშახელის დეფიციტი კიდევ უფრო მწვავე იქნება“,** – განაცხადა პაატა კოკაიამ.

მასშტაბური სამუშაო პროცესი მეზობელ ქვეყანაში ნამდვილად დაიწყება. აქედან გამომდინარე, მართლაც არ არის გამორიცხული, რომ თურქეთს კადრების ძებნა ქვეყნის ფარგლებს გარეთ მოუწიოს. ქართველებმა კი მეზობელ ქვეყანას მიაშურონ სამშენებლო სამუშაოებისთვის.

**ბექა დანელია**

# მართლა დაიჭერენ დონალდ ტრამპს?

**აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის დონალდ ტრამპის განცხადებით, ის ელოდება, რომ მას მომავალ კვირას დააკავებენ. ტრამპი მომხრეებს მასობრივი საპროტესტო გამოსვლებისკენ მოუწოდებს. ყოფილი პრეზიდენტის ადვოკატები აცხადებენ, რომ სამართალდამცავ ორგანოებთან კომუნიკაცია არ ჰქონიათ და დონალდ ტრამპის განცხადება მედიაში გავრცელებულ ცნობებს ეფუძნება.**

როგორც დონალდ ტრამპმა თავის სოციალურ ქსელში დაწერა, მანჰეტენის საოლქო პროკურატურიდან გამოჟონილი ცნობები მიუთითებს, რომ მას სამშაბათს დააკავებენ. პროკურატურაში ამ საკითხზე კომენტარი ჯერ არ გაუკეთებიათ.

**„ვინაიდან ეს არის პოლიტიკური დევნა, საოლქო პროკურატურა მიმართავს პრესაში ინფორმაციის გაჟონვის პრაქტიკას, ვიდრე პრეზიდენტ ტრამპის ადვოკატებთან კომუნიკაციას, როგორც ეს ჩვეულებრივ შემთხვევაში ხდება“,** – განაცხადა ყოფილი პრეზიდენტის ადვოკატმა, სიუზან ნეჩელესმა.

ამერიკულ მედიაში გავრცელებული ცნობით, **პროკურატურა დონალდ ტრამპის დასაკავებლად ემზადება მისი ადვოკატის მიერ 2016 წლის არჩევნებამდე პორნომსახიობისთვის დუმილის სანაცვლოდ თანხის გადახდის საქმეზე, რომელსაც ნიუ-იორკის პროკურატურა ხუთი წლის განმავლობაში იძიებს. ყოფილი პორნოვარსკვლავი სტორმი დანიელსი აცხადებს, რომ ტრამპის ყოფილმა ადვოკატმა მაიკლ კოენმა მას 130 ათასი დოლარი გადაუხადა ტრამპთან კავშირის შესახებ დუმილის სანაცვლოდ. თავად ყოფილი პრეზიდენტი დანიელსთან სექსუალურ კავშირს უარყოფს და საქმეს პოლიტიკურად მოტივირებულს უწოდებს. ამასთან, უცნობია, თუ რა მუხლით შეიძლება, წაუყენონ დონალდ ტრამპს ბრალი.**



აღსანიშნავია, რომ 76 წლის დონალდ ტრამპის წინააღმდეგ გამოძიება რამდენიმე საქმეზე მიმდინარეობს. ყოფილი რესპუბლიკელი პრეზიდენტი არც ერთ დანაშაულს არ აღიარებს და 2024 წლის არჩევნებში კენჭისყრას გეგმავს.

# სიკეთე, სიმართლე, სიყვარული

## მარინა ჟორდანია

### 62 წლის, ბოტანიკოსი, ეკოლოგი



**მარინა ჟორდანიას ინტერესი ბუნებისადმი, კერძოდ მცენარეული სამყაროსადმი და ამ სფეროში წარმატებული სამეცნიერო მოღვაწეობა 3 მიზეზით არის განპირობებული.**

პირველი, ეს არის მშობლიური მარტვილი, ოჯახი, საყვარელი დედა და მამა, რომელიც გახლდათ ბიოლოგი, დამსახურებული პედაგოგი და სახელოვანი მკურნალი – ფიტო-თერაპევტი, დადიანების კარზე მოღვაწე ცნობილ მკურნალთა შთამომავალი.

მეორე მიზეზი მისი საქართველოს ბიომრავალფეროვნებით დაინტერესებისა იყო მისი პედაგოგი მიხეილ სახოკია, საქართველოში გეობოტანიკური სკოლის ფუძემდებელი.

მესამე და მთავარი მიზეზი საქართველოს ბუნებისა და უძველესი კულტურისადმი მარინას დიდი სიყვარულისა გახლავთ ბიძა – აპოლონ ჟორდანია, მწერალი, რუსთველოლოგი, მისი სულიერი მეგობარი, რომელსაც ჰქონდა ორიგინალური ხედვა და მოვლენების სიღრმისეული ჭვრეტის უნარი.

დღეს მარინა სიამაყით იგონებს, რომ სწორედ ბიძამ შეაყვარა დიდი რუსთაველი, ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონი და გრანელი.

ჩვენი გმირის ნაშრომები 36 წლის განმავლობაში იქმნებოდა.

საქართველოს ბიომრავალფეროვნების პროგრამების ექსპერტმა გამოჩენილი ბოტანიკოსის რევაზ გაგნიძის რჩევით შექმნა პროექტი „სამეგრელოს ფლორა“, რომელიც ორივეს ძალისხმევით უნდა განხორციელებულიყო. სამწუხაროდ, მრჩეველი, ღვაწლმოსილი მეცნიერი გარდაიცვალა და დასახელებული პროგრამის შესრულება მარტოს მოუწია. წლების განმავლობაში ერთგულ თანამოაზრეთა თანადგომით პროექტის ფარგლებში მოაწყო მრავალი ექსპედიცია, კვლევა და მსოფლიოს გააცნო სამეგრელოს ფლორის უნიკალურობა.

სამეგრელოს კირქვიანი მასივების (ასხი, გაუჩა, მიგარია, ოხაჩქუე, ყვირა) კვლევით დადასტურდა, რომ რეგიონის ფლორის თითქმის 40 პროცენტი ენდემურია. უფრო მეტიც, აღმოჩნდა, რომ სამეგრელოს კირქვიანი მასივები მესამეული პერიოდის რელიქტურ სახეობათა თავშესაფარია.

მარინას ნაშრომების გამოქვეყნებას მოჰყვა ახალ-ახალი ექსპედიციები და ვიზიტები სამეგრელოში და ბიომრავალფეროვნებით გამორჩეული მხარე თავისი უნიკალურობის გამო ქართველ და უცხოელ მკვლევართა განსაკუთრებული ინტერესის საგნად გადაიქცა.

## დარეჯან ფაჩულია

### 69 წლის, პედაგოგი, მუსიკოსი, მომღერალი,



**დარეჯან ფაჩულიას ბიოგრაფიას ამშვენებს ის ამბავი, რომ 15 წლისა გახლდათ მეცხრე კლასის მოსწავლე, პირველი კურსის სტუდენტი და ფორტეპიანოს მასწავლებელი. ახლა სამუსიკო სკოლაში 53-წლიანი პედაგოგიური მოღვაწეობის შედეგები ეამაყება. ვინაიდან მის მიერ აღზრდილ მოსწავლეთა შორის 6 არჩეულ სფეროს წარმატებით ემსახურება საქართველოს სხვადასხვა ქალაქში. მისი მოსწავლეები ასევე წარმატებით მონაწილეობენ საქართველოსა და უცხოეთში გამართულ კონკურს-ფესტივალებში და მიღებული აქვთ სხვადასხვა პრესტიჟული ჯილდო.**

სამუსიკო სკოლაში მას ჩამოყალიბებული ჰქონდა საბავშვო ანსამბლი „კოლხა“ და პედაგოგთა ვოკალური ანსამბლი „ცისკიდური“. აღნიშნულ სკოლაში მუშაობის პარალელურად ჩვენი გმირი კერძო სკოლა-ლიცეუმის მუსიკის პედაგოგია.  ორივე ანსამბლმა სხვადასხვა მუსიკალურ ფესტივალში უმაღლესი შეფასებები დაიმსახურა.

ქალბატონი დარეჯანი, როგორც პედაგოგთა საერთაშორისო ასოციაციის წევრი, საერთაშორისო კონფერენცია „შეიმეცნე შენი სამშობლო“ ჯილდოს მფლობელიცაა.

ზემოაღნიშნულ სამეფო სკოლაში, როგორც ფოლკლორის ცენტრის დირექტორი, იგი სხვადასხვა ეროვნების ბავშვებს ონლაინ აზიარებს ქართულ ხალხურ, საესტრადო და საბავშვო სიმღერებს, ასევე ჩონგურზე დაკვრას. მისი ინგლისელი მოსწავლეები წარმატებით გამოდიან სხვადასხვა ღონისძიებებსა თუ ფესტივალებში.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია 1975 წელს ჩამოყალიბებული სახალხო ანსამბლი „კოლხური ტრიო“, რომლის უცვლელი წევრი  და ამჟამად ხელმძღვანელიცაა. ამ ტრიოს მეშვეობით მიღებული აქვს მრავალი ჯილდო, დიპლომი, მედალი, პრიზი თუ ფასიანი საჩუქარი. არის რევაზ ლაღიძის სახელობის პრიზისა და „საპატიო სენაკელის“ ტიტულისა და ღისების ორდენის მფლობელი; სენაკში გახსნილია კოლხური ტრიოს სახელობის ვარსკვლავი, ხოლო საქართველოს სხვადასხვა მხარესა თუ საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში მათ მიერ გამართული კონცერტების რიცხვი ათასს აღემატება.

დასასრული. დასაწყისი იხ. №25, 29

## ჩვენი დროის ადამიანები, 2022

## მერაბ ფირანიშვილი

### 72 წლის, მოქანდაკე, მხატვარი, პედაგოგი



**მერაბ ფირანიშვილის, როგორც ხელოვანის, ბედი მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილის სახელს უკავშირდება. ვლადიკავკაზის ქართული სკოლის აღზრდილმა – სტეფანწმინდიდან თბილისში ჩამოსულმა ყმაწვილმა მხატვრების უბანში (საბურთალო) გაიცნო ქართველ მიქელანჯელოდ წოდებული მოქანდაკე მონუმენტალისტი.**

თბილისელმა მერაბმა მოხევე სეხნიას გადაუშალა ლეონარდო დავინჩის ალბომი და ერთი ნაწარმოების გადახატვა დაავალა. ეს დავალება ყმაწვილმა ისე კარგად შეასრულა, რომ მოქანდაკე კმაყოფილი დარჩა. ოსტატმა ყმაწვილში ბუნებრივი ხალასი ნიჭი დაინახა.

აკადემიაში ნელ-ნელა საკუთარი ორიგინალური სტილი შეიმუშავა, რომელიც მერაბ ბერძენიშვილის სტილისაგან განსხვავებულია. ეს სტილი, ორიოდე სიტყვით რომ ვთქვათ, ასე გამოიხატება: კავკასიონის მთებიდან ზვავების მიერ ჩამოტანილი გრანიტის გორებში იგი ეძებს და პოულობს ლოდებს, რომლებიც ტიტანური შრომა-გარჯით უჩვეულო მონუმენტურ ძეგლებად გადაიქცევა ხოლმე.

მერაბის ქანდაკებათა უმრავლესობა, როგორც უკვე ითქვა, გრანიტშია შესრულებული და სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია მეორის, აგრეთვე მერაბის მშობლიურ სოფელ სნოში გზისპირას, ე.წ. ფინაჯურის მინდორშია 10-15 მეტრის ინტერვალით აღმართული. ეს ათი უზარმაზარი ქმნილება-მონუმენტი აცოცხლებს დედა-ისტორიას. აქ იპოვით ყველას, ვინც სამშობლო ასახელა, მეფე იყო, გმირი, წამებული თუ მწერალი.

პირველი იყო ვეფხვი და მოყმე, შემდეგ – ალექსანდრე ყაზბეგი, ვაჟა ფშაველა, ილია მართალი, მათ მოჰყვნენ რუსთაველი, მაცხოვარი, თევდორე მღვდელი, ღვთისმშობელი, ფარნავაზ მეფე, ვახტანგ გორგასალი.

ცოტა შორს, სოფლის ცენტრში დგას გმირი შიოლა ღუდუშაური. ხოლო დარყის მთის ძირას არსებულ სალოცავს კი ამშვენებს წმ. გიორგი.

ყველა ნამუშევარი, როგორც ითქვა, გრანიტის უზარმაზარი ლოდისგანაა გამოკვეთილი. ერთადერთი მაცხოვარია გამორჩეული, კვარცის, ანუ მთის ბროლისაგან გამოსული, რომელსაც მოჰყვა სასწაული: მაცხოვრის ტანჯული იერსახე სისხლით დაიცვარა. ეს მოვლენა კვარცში არსებული რკინის ნაწილაკების დაჟანგვით აიხსნება, მაგრამ მნახველებს, კერძოდ, მომლოცველებს ამის გაგონება არ სურთ. ბროლის სისხლიანი მაცხოვარი თანამემამულეთა და უცხოელთა უდიდეს მოწიწებას იწვევს...

## ლია წურწუმია

### 81 წლის, ფილოსოფოსი, კულტუროლოგი



**ლია წურწუმია დაიბადა ფოთში. ჩვენი გმირი, როგორც მეცნიერი, ფილოსოფოსი, კულტუროლოგი, ფოთის საპატიო მოქალაქე და აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობით გამორჩეული პიროვნება მთელი 24 წელიწადი გახლდათ ფაზისის (ფოთის) აკადემიის სწავლული მდივანი და ვიცე-პრეზიდენტი.**

მოგეხსენებათ, ფაზისის აკადემია უდიდეს საქმიანობას ეწევა განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგში. დიდია ქალბატონ ლიას წვლილი აკადემიის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-პრაქტიკულ საქმიანობაში, კერძოდ, აკადემიის სამეცნიერო კრებულის „ცოტნეიდელის“ დღემდე გამოცემული 10 ტომის მომზადებასა და გამოცემაში.

ქალბატონი ლია გახლავთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღზრდილი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მშობლიურ უნივერსიტეტსა თუ სხვა უმაღლეს სასწავლებლებში ლექციებს კითხულობდა ესთეტიკაში, ფილოსოფიურ ანთროპოლოგიაში, განათლების ფილოსოფიასა და კულტუროლოგიაში.

გამოქვეყნებული აქვს 50 სამეცნიერო ნაშრომი, 5 მონოგრაფია, მათ შორის „მხატვრული კულტურის ისტორიის“ 2 ტომი, 3 სახელმძღვანელო. საქართველოს ეროვნული აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის საგრანტო პროექტში – „ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორია“ – მას ეკუთვნის ქართული ესთეტიკური აზრის მეცნიერული ანალიზი, რომელიც მოიცავს XIII-XIX საუკუნეებს.

## მურთაზ ჯანჯღავა

### 78 წლის, ენათმეცნიერი, ისტორიკოსი



**მურთაზ ჯანჯღავა ცაიშის, სამკურნალო წყლებით განთქმული კურორტის მკვიდრია. სოფელში ზამთარ-ზაფხულ საინტერესო ბიოგრაფიის მქონე უამრავი ადამიანი იყრიდა თავს და ბავშვობა-ყრმობის წლებში მათთან ურთიერთობისას მურთაზმა გაიარა დიდი ხალხური აკადემია – ღრმად გაითავისა მეგრული ენა, ეთნოგრაფია, მითოლოგია და ისტორია.**

თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ საქართველოს სოცუზრუნველყოფის სამინისტროს სისტემის ერთ-ერთ უწყებაში სხვადასხვა თანამდებობაზე იღვწოდა, თანამოსაქმეთა პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა. საბოლოოდ მაინც არჩია წმინდა სამეცნიერო საქმე – ლექსიკოგრაფია და ლექსიკოლოგია.

„მეგრული ენის ფენომენი“ არის ნაშრომი, რომლის მსგავსი ამ დარგში არ დაწერილა. ერთი სიტყვით, მეგრული ზმნების ფონეტიკური აგებულების თავისებურებანი, ბგერათა მეტყველების ფილოსოფია და ბგერათა მონაცვლეობით დიამეტრულად განსხვავებული აზრების წარმოშობის საიდუმლოებანი მოცემულია ერთ წიგნში, რომელმაც ენათმეცნიერთა და ისტორიკოსთა წრეში უნიკალურისა და უპრეცედენტოს ტიტული დაიმსახურა...

ამჟამად იბეჭდება ბატონი მურთაზის ახალი წიგნი „მეგრული ენა“, გამოსაცემად მზადდება მეგრული ენის იშვიათ სიტყვათა ლექსიკონი და პოეტური კრებული, სადაც უამრავი ქართული და მეგრული ლექსია წარმოდგენილი.

ჩვენი გმირი ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად  მრავალი კარგი საქმის თაოსანიცაა.

## გვანჯი მანია,

**დამსახურებული ჟურნალისტი, „გიორგის“ კავშირის დამფუძნებელი-თავმჯდომარე, ფაზისის აკადემიის გამგეობის წევრი.**



◉ გასდით და კნავიან!..

# დაუხშეთ საინფორმაციო ღრუ!

**სამგლე გოჯეგივით ატეხილნი არიანო, ისეა ზოგიერთი ზონდერმედიასაშუალების წარმომადგენელ მიკროფონიან ვაიკოლეგათა საქმე. როცა არგუმენტებით გაჯერებულ პასუხს შეაგებებ, სწყინთ – ესაა პროფესიული სოლიდარობაო? – მაგრამ, ჯერ ერთი – ძნელია ასეთ პროვოკატორებს ჟურნალისტები უწოდო და, მეორე და უმთავრესი – როგორი მწარედ მოსასმენიც არ უნდა იყოს ვინმესთვის, სათქმელი აუცილებლად უნდა ითქვას.**

ამჯერად ორფეხა გველგესლებმა მიზანში სახელოვანი მორაგბე **დავით კაჭარავა** ამოიღეს, აქაოდა ფსევდო „ხალხის ძალის" სახელით პარლამენტში გავლენის აგენტთა შესახებ რუსული კანონი დააინიცირაო.

საკითხის პოლიტიკურ მდგენელს რომ თავი დავანებოთ, რომელიც, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოდან არცთუ საფუძვლიანი პროტესტის შედეგად გაწვევის შემდეგ ამოწურული უნდა იყოს, ვერსად წავუვალთ ქვეყნის



საამაყო შვილზე მიტანილი იერიშის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს, თანაც – ჩვეული ვირეშმაკობით.

დიახ, მართალია ოპონენტები იძულებულნი არიან აღიარონ, რომ „კაჭო" ბორჯღალოსანთა რეკორდსმენია 122 მოხვეჭილი კეპით, მაგრამ იქვე ბოღმას ანთხევენ – კარიერის უდიდესი ნაწილი რუსეთის კლუბ ენისეიში გაატარა და საფრანგეთში მხოლოდ 4 სეზონის განმავლობაში თამაშობდაო.

თქვე მამაცხონებულებო: სულ ახლახანს არ იყო, თორნიკე შენგელიას რომ აბულინგებდით (თქვენი საყვარელი სიტყვაა), ცსკა-ში რატომ ჩაირიცხაო? ხომ დაგიმტკიცათ მალევე, რომ არავიზე ნაკლები პატრიოტი არაა. და განა მარტო მან? როდემდე უნდა წაიმტვრიოთ კბილები? ხომ ყველას გვახსოვს ლაშა ტალახაძის, ან თუნდაც ხვიჩა კვარაცხელიას მაგალითები?

ეს თხემით ტერფამდე შხამის საწყობები კიდევ უფრო შორს წავიდნენ და მთელ რაგბის კავშირს გადასწვდნენ – ქართული ოცნების პოლიტბიუროდ არის ქცეულიო. და ამას ბედავს ძალა, რომელსაც თბილისის სპორტის საქალაქო სამსახურის უფროსად სისხლის ფორმულა გია უდესიანი ჰყავდა გამწესებული. აღარაფერს ვამბობთ ცალკეულ ფედერაციებზე.

თანაც დაუკვირდით – როგორ მზაკვრულადაა შერჩეული დრო სარაგბო თემში „ჩორტის" კიდევ ერთხელ ჩასაგდებად, როცა ბორჯღალოსნებს მსოფლიოს თასამდე მოსამზადებლად მხოლოდ რამდენიმე თვე აქვთ დარჩენილი.

ზემოთ მამალი ნაცქილერი ვახსენეთ და სრული ზედნიერებისთვის ჩაროზად იმ ავბედით ეპოქაში დამკვიდრებული პრაქტიკაც გავიხსენოთ, როცა მაშინაც კი, როცა ვინმე საკუთარი პოზიციის ხმამაღლა გამოხატვას გაბედავდა, ოპერატიულად იბარებდნენ „იქ" და მეორე დღეს ხელისუფლებისთვის სასურველ ნაბიჯს ადგმევინებდნენ. იმაზე ვინ ფიქრობდა, ამით რომ ხალხის საყვარელ სპორტსმენს ავტორიტეტი ელახებოდა.

ეჰ, მართლაც რომ არ გათეთრდების ყორანი.

**გია პლატონიშვილი**

◉ იტალიურ ტალღაზე

# დიახ, ძლიერებს უმართლებთ

**გულზე ხელი დავიდოთ და ვაღიაროთ, რომ ჩემპიონთა ლიგის მორიგი პლეიოფების წილისყრას არცთუ ოპტიმისტურად ველოდით, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ნაპოლი მთელი სეზონის განმავლობაში თითქმის ყველას მუსრს ავლებს, ტიტულისათვის მებრძოლთა შორის, სიტის მსგავსად, საამაყო წარსულით ვერ დაიკვეხნის მაშინ, როცა დანარჩენებს ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ევროტურნირი მინიმუმ ორჯერ მაინც აქვთ მოგებული.**




ბედი მქონიაო, ლუჩანო სპალეტიმ უნდა თქვას, ვინაიდან ლუკა მარკეტიმ, პედრო პინტუმ და უშუალოდ პატრიკ კლუივერტმა კამპანიელებს მეტოქეებად ჯერ მილანი გამოუწერეს (მეოთხედფინალში), ხოლო ნახევარფინალში გასვლის შემთხვევაში ინტერსა და ბენფიკას შორის გამარჯვებული.

მეტი სიცხადისთვის დანარჩენ წყვილებსაც გადავხედოთ: რეალი – ჩელსი და, არც მეტი, არც ნაკლები, განსაკუთრებით: სიტი – ბაიერნი!

შეგახსენებთ, რომ ელიტური სანახაობის ფინალი 10 ივნისს სტამბოლშია დანიშნული, რაც იმას ნიშნავს, რომ სავსებით შესაძლებელია ადრეულ ზაფხულზე მეზობელი თურქეთისკენ კვარადონას საქომაგოდ თანამემამულე გულშემატკივართა კოლონები მთელი საქართველოდან დაიძრას.

არანაკლებ ახლოს იყო საუკეთესოთა ოქტეტში გაღწევასთან ევროპა ლიგაზე მოთამაშე ჯვაროსანთა ტრიოს სლოვაკური სლოვანი, მაგრამ საპასუხო საშინაო შეხვედრის დებიუტშივე მოპოვებული სოლიდური უპირატესობა ვერ შეინარჩუნა – 2:2 და პენალტების სერიაში წინ გაზელმა წაიწია – 4:1 (პირველი მატჩიც 2:2). დავძენთ, რომ საფეხბურთო ლატარიაში დარტყმა არც კაშიას შეუსრულებია, არც კანკავასა და არც ჩაკვეტაძეს.

მანჩესტერი – სევილია (შეგახსენებთ, რომ წინა ეტაპებზე იუნაიტედმა ასევე პრიმერა-დივიზიონის ბობოლები ბარსელონა და ბეტისი დასცა), იუვენტუსი – უნიონი (ბელგია), ფეიენოორდი – რომა. ფინალს ბუდაპეშტი უმასპინძლებს.

სამაგიეროდ, კვეკვესკირისა და წიტაიშვილის სახით წარმომადგენლები შემოგვრჩა კონფერენს ლიგაში, სადაც მათი პოლონური გუნდი ლეხი ფიორენტინასთან ჩააბარებს მძიმე გამოცდას.

გენტი – ვესტ ჰემი, ალკმაარი – ანდერლეხტი, რომელმაც სენსაციურად დააჩოქა ვილიარეალი და გაზელი – ნიცა. აღნიშნული ტურნირის ფინალი პრაღაში მოეწყობა.

◉ აუზზე

# დებიუტი კვარცხლბეკით

**აგვისტოში გერმანიის ქალაქი აახენი 16 და 19-წლამდელ წყალმხტომელთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს, მისთვის მზადების საწყის ეტაპს კი სტოკჰოლმში შვედეთის სპორტის საწყლოსნო სახეობათა ფედერაციისა და კლუბ პოსეიდონის ორგანიზატორობით გამართული 4-დღიანი ტრადიციული პრესტიჟული საერთაშორისო ტურნირი – გამას თასის გათამაშება წარმოადგენდა.**



300-ზე მეტ ადგილობრივ, ფინელ, ბულგარელ, ნიდერლანდელ და რუმინელ მეტოქეებთან ბრძოლაში საქართველოს 5-წევრიანმა ნაკრებმა (მწვრთნელები – **ალექსანდრე ბართაია, ჭოლა ჭანტურია**) 5 მედალი მოიპოვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია 3-მეტრიანი ტრამპლინიდან შერეულ წყვილებში **თეკლა შონიასა** და **გიორგი წულუკიძის** მიერ მოხვეჭილი ოქრო, რადგან ეს გახლდათ დასახელებულ დისციპლინაში ჯვაროსანთა სადებიუტო ასპარეზობა.

წულუკიძე პრიზიორი გახდა აგრეთვე ერთმეტრიანი ტრამპლინიდან (მეორე ადგილი) და სამმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომებში (მესამე ადგილი).

ამ უკანასკნელში ვერცხლი **ალექსანდრე ცხომელიძემ** დაიმსახურა.

მალე ჩვენი გუნდი პოლონელ თანატოლებთან ერთად ერთთვიან საწვრთნელ შეკრებაზე გადავა, რის შემდეგაც სამზადისის მეორე რაუნდს გერმანიის საერთაშორისო ტურნირზე გამგზავრებით დააგვირგვინებს, ხოლო დასკვნით – მესამე ეტაპზე იტალიაში საერთაშორისო ტურნირზე ჩააბარებს გამოცდას ივლისში.

ზემოთ დებიუტი ვახსენეთ და ისიც აუცილებლად სათქმელია, რომ სამმეტრიანი ტრამპლინიდან სინქრონულ ხტომებში კარიერაში პირველი გამოსვლა ბრინჯაოთი აღნიშნეს 16 წლის გოგონებმა – **თეკლა შონიამ** და **მარიამ შანიძემ**. მეტიც – მათ სკანდინავიაში საკვალიფიკაციო ნორმატივი შეასრულეს და ზაფხულში კონტინენტურ ფორუმზე 2-3 წლით უფროსებს გაუწევენ კონკურენციას.

დავძენთ, რომ თანამემამულეთა წარმატებაში ღირსეული წვლილი შეიტანეს შვედეთში მცხოვრებმა ქართველებმა, რომლებიც აქტიურად ქომაგობდნენ ჩვენებურებს, ტურნირს კი სხვა კოლეგებთან ერთად საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი **სალომე ჯუღელიც** მსაჯობდა.

# ორიოდე სიტყვით

### ჭიდაობა

**ბუქარესტი (რუმინეთი).** 23-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი. ბერძნულ-რომაული სტილი. **ოქრო** – დიეგო ჩხიკვაძე (67). **ვერცხლი** – გიორგი შოთაძე (63), გიორგი ცოფურაშვილი (130). **ბრინჯაო** – გიორგი ჩხიკვაძე (72), საბა მამალაძე (82). თავისუფალი სტილი. **ვერცხლი**. ვლადიმერ გამყრელიძე (79). **ბრინჯაო.** ლუკა ღვინჯილია (57), გოგა ოთინაშვილი (65), დავით ფაცინაშვილი (70).

### ძიუდო

**თბილისის გრანდ სლემი.** 24-26 მარტი. საქართველოს ნაკრების შემადგენლობა: **კაცები.** ლუხუმ ჩხვიმიანი, გიორგი სარდალაშვილი, თემურ ნოზაძე, ნიკა ხუზაურაშვილი (60), ვაჟა მარგველაშვილი, ლაშა ნადირაძე, გიორგი თუთაშვილი, იპოლიტე აქუბარდია (66), ლაშა შავდათუაშვილი, გიორგი ტერაშვილი, კოტე კაპანაძე, მიხეილ




ბახბახაშვილი (73), ტატო გრიგალაშვილი, ზაურ დვალიშვილი, გიორგი ჯაბნიაშვილი, ლევან გუგავა (81), ლუკა მაისურაძე, ბექა ღვინიაშვილი, ავთანდილ ჭრიკიშვილი, ლაშა ბუქაური (90), ილია სულამანიძე, ვარლამ ლიპარტელიანი, ერეკლე ბაზიერაშვილი, მიხეილ ჯაფარიძე (100), გურამ თუშიშვილი, საბა ინანეიშვილი, გელა ზაალიშვილი, ირაკლი დემეტრაშვილი (+100); **ქალები.** ნატალია ყიფშიძე (48), ელენე წიკლაური, მარიამ ფოცხვერაშვილი, მარიამ ლაფაჩიშვილი (52), ნინო წიკლაური, გვანცა მჭედლიშვილი, ნინო ლოლაძე, ეთერ ლიპარტელიანი (57), ეთერ ასკილაშვილი (63), ნინო გულბანი, რეგინა უთნელიშვილი (70), სოფიო სომხიშვილი (78).

### ჩოგბურთი

**აქტობე (ყაზახეთი).** 15-ათასიანი ტურნირი. წყვილები. **I ადგილი** – ალექსანდრე ბაკში (თბილისი), ივან დენისოვი (რუსეთი).



# ქართული ღვინო მსოფლიოს „თავმჯდომარეა“...

ბრიუსელში გამართულ ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის (WWTG) შეხვედრაზე ამ ორგანიზაციის თავმჯდომარეობა საქართველოს, ერთი წლის ვადით, ამერიკის შეერთებული შტატებისგან გადმოეცა. WWTG-ს თავმჯდომარეობის უფლებამოსილების განხორციელებას საქართველო მიმდინარე წლის 1 მაისიდან დაიწყებს.

**„ეს კიდევ ერთი აღიარებაა საქართველოსი, როგორც ღვინის მწარმოებელი ქვეყნის, რაც ხელს შეუწყობს ქართული ღვინის პოპულარიზაციასა და ექსპორტის ზრდას, მათ შორის, ამ ჯგუფის წევრ ქვეყნებს შორის. ერთი წლის განმავლობაში, საქართველო სათავეში ჩაუდგება და კოორდინაციას გაუწევს ჯგუფის მუშაობას. მიმდინარე წლის ნოემბერში საქართველოში გაიმართება WWTG-ის ქვეყნების წარმომადგენლების შეხვედრა, სადაც განხილული იქნება ღვინის ინდუსტრიის მნიშვნელოვანი საკითხები, – აღნიშნა ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ, ლევან მეხუზლამ, რომელიც ბელგიის დედაქალაქში გამართული ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის (WWTG) ყოველწლიურ შეხვედრაში მონაწილეობდა.**

**ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფი (WWTG) წარმოადგენს ღვინის მწარმოებელი ქვეყნების გაერთიანებას და მისი წევრები საქართველოსთან ერთად, აშშ, არგენტინა, ავსტრალია, კანადა, ჩილე, ახალი ზელანდია, სამხრეთ აფრიკა და ურუგვაი არიან. ორგანიზაციის ძირითადი მიზანია ღვინით ვაჭრობის გამარტივება, ღვინით საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობა ინფორმაციის გაზიარებისა და სავაჭრო ბარიერების მოხსნისათვის ერთობლივი ქმედებების განხორციელების გზით.**

**„ამერიკის შეერთებული შტატების ღვინის ინდუსტრიის სახელით, მოხარულები ვართ, რომ საქართველო ხდება ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის თავმჯდომარე ქვეყანა. სხვა პარტნიორ ქვეყნებთან ერთად, ჩვენ ვმუშაობთ ევროკავშირში ღვინის ეტიკეტირების პრაქტიკების შეცვლაზე, ნარჩენების მართვაზე, მდგრად განვითარებასა და ღვინის ინდუსტრიისთვის მნიშვნელოვანი სხვა ინიციატივების განხორციელებაზე. რადგანაც უკვე ნამყოფი ვარ საქართველოში, კარგად ვიცი ქართული სტუმართმოყვარეობის შესახებ. WWTG-ის თავმჯდომარეობას ვულოცავ ქართულ გუნდს,** – აღნიშნა აშშ-ის ღვინის ინდუსტრიის წარმომადგენელმა კატერინა ბედარდმა (Katherina Bedard, კალიფორნიის ღვინის უნივერსიტეტი).

აღსანიშნავია, რომ ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის თავმჯდომარეობა ყოველწლიურად, როტაციის პრინციპით იცვლება. საქართველო WWTG-ის 2014 წელს თავმჯდომარეობდა. აღნიშნულ პერიოდში მოხდა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების შეთანხმება და დოკუმენტების შემუშავება, რომლებიც ამ ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს შორის ღვინით ვაჭრობის პროცედურებს ამარტივებს. ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის (WWTG) მიერ საქართველოს ერთწლიანი თავმჯდომარეობის პერიოდი დადებითად შეფასდა.

**2014 წლის აგვისტოში, თბილისში გამართულ WWTG- ს პლენარულ შეხვედრაზე მიღებულ დოკუმენტს, ღვინის შემადგენლობისა და პოტენციური დამაბინძურებლების ანალიტიკური მეთოდოლოგიისა და მარეგულირებელი შეზღუდვების შესახებ, ორგანიზაციაში დღესაც „თბილისის განცხადება“ ეწოდება.**

# საბაზრო ეკონომიკის ახალი პარადოქსი

(მეორე გვერდიდან)

ასეთ შემთხვევაში ეს გადადის კომპანიების მიერ რეალიზებული საქონლის ფასში, რაც, თავის მხრივ, ინფლაციაზე მოქმედებს ნეგატიურად. შემდეგ კი მაღალი ინფლაციის პირობებში დასაქმებულები ისევ ითხოვენ ანაზღაურების გაზრდას და იქმნება თავისებური სპირალი.

სწორედ ამაზე ამახვილებს ყურადღებას სებ-ის ვიცე-პრეზიდენტი **არჩილ მესტვირიშვილი**:

**„ცენტრალური ბანკებისთვის არის მნიშვნელოვანი ინფლაციის ის კომპონენტი, რომელიც გრძელვადიანია და რომელიც მოთხოვნის მხრიდან წარმოიქმნება და ამიტომ ამაზე არის აუცილებელი რეაგირება. ერთ-ერთი მამოძრავებელი შეიძლება იყოს ხელფასებისა და ფასების სპირალი, როდესაც ხელფასების ზრდა იწვევს უკვე კომპანიებისთვის სარეალიზაციო ფასების ზრდას, რასაც დამატებით მოჰყვება ხელფასის ზრდა და შესაბამისად, ეს სპირალი იქმნება, ამიტომ ეს არის საყურადღებო.**

**უკვე რამდენიმე კვარტალია, როდესაც ხელფასების ზრდა უფრო მაღალია, ვიდრე პროდუქტიულობის მატება, ეს გამოწვევაა კომპანიებისთვის. ხელფასების ზრდა, რა თქმა უნდა, აუცილებელია, როდესაც დღეს ვხედავთ, რომ ვაკანსიების რაოდენობაა გაზრდილი და კომპანიები მუშახელს ეძებენ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ კომპანიებმა შეინარჩუნონ მუშახელი, გაზარდონ ხელფასებიც, მაგრამ ამავე დროს გაზარდონ პროდუქტიულობაც, რომ ხელფასების ზრდამ არ აიძულოთ ფასების ზრდა. ეს იქნება ალბათ ძირითადი გამოწვევა კომპანიებისთვის, რაც ასევე ჩვენ აგვარიდებს, რომ მო-**




**ნეტარული პოლიტიკა გამკაცრებული სახით უფრო დიდი ხნის განმავლობაში შევინარჩუნოთ“,** – განაცხადა მესტვირიშვილმა.

ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტს ეთანხმება „პიემსის“ კვლევითი ცენტრის დირექტორიც. **გიორგი ხიშტოვანის** თქმით, ხელფასების ზრდა დამატებით წნეხს ახდენს ინფლაციის მაჩვენებელზე.

**„საქსტატის მონაცემებითაც დასტურდება, რომ დაახლოებით 21%-ზე მეტითაა წლიურ ჭრილში საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი გაზრდილი, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. ინფლაციის მაჩვენებელს აჭარბებს ხელფასების ზრდა და რეალურ ზრდას აქვს ადგილი, რაც, თავის მხრივ, მისასალმებელია. მეორე რაც საინტერესოა, უკვე ინფლაციის ჭრილში, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს ხელფასების ზრდა დამატებით წნეხს ახდენს ინფლაციის მაჩვენებელზე. რადგან ჩვენ ვიცით, რომ მაღალი წნეხი არის ინფლაციის გრძელვადიანად შენარჩუნების ერთ-ერთი მიზეზი. ამაზე მეტყველებს სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება.**

**ერთი მხრივ, დადებით მოვლენასთან გვაქვს საქმე, მაგრამ, მეორე მხრივ, ხელფასების წლიური 21.2%-იანი ზრდის პირობებში, ძალიან რთული იქნება ინფლაციის მიზნობრივ 3-4%-იან მაჩვენებელზე ჩამოყვანა. განვითარებული ქვეყნების დიდი ნაწილი ებრძვის მაღალ ინფლაციას. ამ შემთხვევაში საკითხის გადაწყვეტა არის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ზრდა. რამდენიმე დღის წინ ევროპის ცენტრალურმა ბანკმა მიიღო ასეთი გადაწყვეტილება. ეს არის ინსტრუმენტი ეკონომიკის აქტივობის შესაჩერებლად, რათა ცენტრალური ბანკი მზარდ ინფლაციას გაუმკლავდეს.**

**გარედან ყველაფერი კარგად ჩანს – ეკონომიკა და ხელფასები იზრდება, მაგრამ ამავე დროს არის რისკები, რადგან კითხვის ნიშნებია – რამდენად მდგრადია ეკონომიკური ზრდა და ხელფასები? პროდუქტიულობის ზრდის საფუძველზე მოხდა ზრდა თუ ეკონომიკაში ემისიამ დროებითი ბუმი გამოიწვია“,** – განაცხადა გიორგი ხიშტოვანმა.

**ბექა დანელია**



ვახტანგ და თემურ ვეფხვაძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან ძმის

## ჯუმბერ ნიკოლაიშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

შვილი ნანა ნიკოლაიშვილი, რძალი თათა ქაჩიბაია, შვილიშვილები სალომე, ელენე, ელისო კასრაძეები, თორნიკე, ლაშა ნიკოლაიშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

## ჯუმბერ ნიკოლაიშვილი

პანაშვიდები 20, 21 მარტს, 4 საათზე, მისამართი: ფალიაშვილის 6, II სადარბაზო, მე-11 სართული, გამოსვენება 22 მარტს, 14:00 საათზე, ყოველთა წმინდანთა სახელობის ეკლესიიდან, უნივერსიტეტის ქუჩა 12, ოლიმპიური სასახლის მოპირდაპირედ, კერძო სასაფლაოზე.

---

სააქციო საზოგადოება „თბილქალაქმშენი“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ღირსეული მოქალაქისა და კეთილშობილი პიროვნების, თავისი საქმის ერთგული შემსრულებლის, კარგი მეოჯახისა და მეგობრის, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქართლის“ დირექტორის

## გოვენ რუბაშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს ოჯახს, შვილებს, ნათესავებსა და მეგობრებს.

# ამბროლაურში კარანტინი გამოცხადდა

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, ძაღლის ცოფის 3 ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევა გამოვლინდა. მუნიციპალიტეტის ინფორმაციით, გამოცხადდა კარანტინი, რაც გულისხმობს ცხოველების ქუჩაში და სხვა ადგილებში გამოყვანის აკრძალვას, საკარანტინო პერიოდში საჭიროა მათი იზოლირება.



მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით და მათი უსაფრთხოების მიზნით ჩატარდება სადეზინფექციო სამუშაოები, უმეთვალყურეოდ დარჩენილ ძაღლებს კი ოზურგეთის „ცხოველთა მუნიციპალურ თავშესაფარში“ გადაიყვანენ. აღნიშნულიდან გამომდინარე ერთ დღეს არ იფუნქციონირებს ამბროლაურის ყოველკვირეული ბაზარი და მუნიციპალური ტრანსპორტი.

# „ხელოვნების ქალაქი“ – თბილისის ცენტრში

**კულტურის სამინისტროს ინიციატივით, აღმაშენებლის გამზირზე მდებარე ყოფილი კინოსტუდიის ტერიტორიაზე „ხელოვნების ქალაქის“ მოსაწყობად სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. ობიექტი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა, თეა წულუკიანმა დაათვალიერა. სამუშაოების პირველი ფაზა დასრულებულია და მომდევნო ეტაპიც გეგმის თანახმად მიმდინარეობს.**



კინოსტუდიის ერთ-ერთ შენობაში უკვე განთავსდა ცნობილი ფოტოგრაფის, იური მეჩითოვის, სტუდია, მოეწყო გამოფენა-გაყიდვის სივრცე სამხატვრო აკადემიის პროექტისთვის „ლურჯი სუფრა“. ასევე, ფუნქციონირებს მსახიობების შერჩევის სააგენტო – „Eka Cast Agency“, რომელსაც მსახიობი და კასტინგ-მენეჯერი ეკა მჟავანაძე ხელმძღვანელობს და მეთოჯინეების – ეკატერინე ბერიძისა და იულია სოროკინას, სახელოსნო.

„ტერიტორიაზე ასევე მოეწყობა „თოჯინების სახლი“, სადაც თბილისსა და რეგიონებში მოქმედი თეატრებისთვის სპეციალისტები დაამზადებენ თოჯინებს, პატარა მაყურებლებისთვის კი გაიმართება თოჯინური სპექტაკლები. მათ ექნებათ საშუალება, დაათვალიერონ სახელოსნო და თავად გახდნენ თოჯინების შექმნის პროცესის მონაწილეები. ეს ინიციატივა ხელს შეუწყობს მეთოჯინის პროფესიის პოპულარიზაციას. პროცესის ორგანიზატორია თბილისის თოჯინების თეატრების გაერთიანების სამხატვრო ხელმძღვანელი ნიკა საბაშვილი. ასევე, ტერიტორიაზე ძმებ ზდანევიჩების სახელობის თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის „Fest I Nova“-ს თბილისის ფილიალიც იქნება. სამუშაოების მეორე ფაზის განხორციელების შედეგად, ღია სივრცე მსურველებს მასტერკლასებისა და ვორქშოპების ჩატარების საშუალებასაც მისცემს. ასევე, ტერიტორიაზე შეიქმნება მულტიფუნქციური სტუდიები; მოეწყობა კლუბური სტილის კინოდარბაზი კინოჩვენებისა და დისკუსიებისთვის. აღდგება მულტსტუდიაც. სამუშაოების სრულად დასრულების შემდეგ, იჯარის საფუძველზე, სხვადასხვა შემოქმედებითი პროექტისა თუ ღონისძიების განხორციელების შესაძლებლობა მხოლოდ ხელოვანებს ექნებათ სახელოვნებო პროექტების განსახორციელებლად. მიმდინარე სამუშაოების გაცნობის დროს, კულტურის მინისტრმა დეტალურად მოისმინა ინფორმაცია სამუშაოების ეტაპების, ვადებისა და საჭიროებების შესახებ.

მინისტრმა დაათვალიერა ეკატერინე ბერიძისა და იულია სოროკინას სახელოსნო, სადაც სხვა მეთოჯინეების – თეა მინდაძის, ნანა ბედიაშვილის, მარინა ბიჭიაშვილის, რინალია მერინის – ნამუშევრებია განთავსებული. მათ კულტურის მინისტრს ამ მრავალმხრივი სივრცის შექმნისთვის მადლობა გადაუხადეს.

კულტურის მინისტრის ინიციატივით, 2022 წლიდან აქტიურად მიმდინარეობს აღმაშენებლის გამზირზე მდებარე უნიკალური ისტორიის მქონე კინოსტუდიის ოთხ ჰექტრამდე ტერიტორიის სარეაბილიტაციო სამუშაოები, მათ შორის – ჩამოქცევის პირას მყოფი, 1920-იან წლებში აგებული ორი პავილიონის გადარჩენაზე მუშაობა.

# საოპერო სტუდიის სპექტაკლების სერია „ფიგაროს ქორწინებით“ გაიხსნა

**31 მარტის ჩათვლით, 19:00 საათზე, კონსერვატორიის დიდ დარბაზში, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საოპერო სტუდიის სპექტაკლები გაიმართება.**

ღონისძიებებს მუსიკალურ თანხლებას გაუწევს საოპერო სტუდიის ორკესტრი, რომელსაც უდირიჟორებენ: თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი – ზაზა აზმაიფარაშვილი, კონსერვატორიის საოპერო სტუდიის ხელმძღვანელი, პროფესორი გოგი ჭიჭინაძე და ასისტენტ პროფესორი ლევან ჯაგაევი. წარმოდგენილი იქნება მოცარტის – „ფიგაროს ქორწინება“, დონიცეტის – „სიყვარულის ნექტარი“, პერსელის – „დიდო და ენეასი“. კონსერვატორიის საოპერო სტუდია 1952 წლიდან არსებობს, როგორც ვოკალურ-სცენური ოსტატობის სკოლა კონსერვატორიის სოლო აკადემიური სიმღერის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. საოპერო სტუდიამ ამ წლების მანძილზე არაერთი საოპერო ვარსკვლავი აღზარდა, რომლებიც დღეს მსოფლიოს წამყვან სცენებს იპყრობენ და სახელს უხვეჭენ როგორც საკუთარ ქვეყანას, ასევე კონსერვატორიის ვოკალურ სკოლას.

# ბრაიან მეი რაინდად აკურთხეს

**დიდი ბრიტანეთის მეფე ჩარლზმა Queen-ის გიტარისტი ბრაიან მეი რაინდად აკურთხა. საპატიო წოდება მეის მუსიკაში შეტანილი წვლილისა და საქველმოქმედო საქმიანობისთვის მიენიჭა. ცერემონია ბუკინგემის სასახლეში გაიმართა.**

ბრაიან მეი 1947 წლის 19 ივლისს დაიბადა. გიტარაზე 7 წლიდან უკრავს. მან დაწერა Qetty-ის მრავალი ცნობილი კომპოზიცია, როგორრებიცაა We Will Rock You, Who Wants to Live Forever, I Want It All, The Show Must Go On და ა.შ. ამასთან, მეი ასტროფიზიკოსია, ფილოსოფიის დოქტორი და ცხოველთა დაცვის ფონდის Save Me დამფუძნებელი.



# ტარანტინოს უკანასკნელი ფილმი



**რეჟისორმა კვენტინ ტარანტინომ თავისი უკანასკნელი, მეათე ფილმისთვის სცენარი დაწერა. მომავალი სურათის სახელწოდებაა „კინოკრიტიკოსი“. გადაღებები შემოდგომაზე დაიწყება. ფილმის სიუჟეტი 1970-იანი წლების ლოს-ანჯელესში ვითარდება, სურათის მთავარი გმირი კი სავარაუდოდ კინოკრიტიკოსი პოლინ კეილი იქნება.**

ტარანტინოს არაერთხელ უთქვამს, რომ კარიერის განმავლობაში მხოლოდ 10 ფილმს გადაიღებს, პენსიაზე კი 60 წლისა გავა. ამ ასაკს რეჟისორი 27 მარტს მიაღწევს.

# ფრანგული ბულდოგი – ყველაზე პოპულარული...



**30 წლის განმავლობაში პირველად, აშშ-ში ძაღლის ყველაზე პოპულარული ჯიში შეიცვალა.გასული წლის რეიტინგი „ამერიკის მეძაღლეთა კლუბმა“ გამოაქვეყნა, რომელიც ყოველწლიურად აჯამებს შესაბამის მონაცემებს. მათი ცნობით, რეიტინგის სათავეში ფრანგული ბულდოგი მოხვდა.**

სპეციალისტების განმარტებით, ფრანგულ ბულდოგებს ქვეყანაში სულ უფრო მეტი ადამიანი ირჩევს, რაც ამ ძაღლების მშვიდი ხასიათით და ნაკლები აქტიურობით არის განპირობებული. ამასთან, კინოლოგები აღნიშნავენ, რომ ბულდოგებს ჯანმრთელობის არაერთი პრობლემა აქვთ.

**ლაბრადორ რეტრივერი,** რომელიც ამერიკის საყვარელ ძაღლად ბოლო 31 წლის განმავლობაში ითვლებოდა, მეორე ადგილზეა, მესამე პოზიციას კი **ოქროსფერი რეტრივერი** იკავებს.

# მომაკვდავი ვარსკვლავის ფოტო

**კოსმოსურმა ტელესკოპმა „ჯეიმს უები“ მომაკვდავი ვარსკვლავის WR 124 ფოტო გადაიღო, რომელიც სუპერნოვად გადაქცევის ზღვარზეა. WR 124 ვოლფ-რაიეს სტადიაშია და დედამიწიდან 15 ათასი მზის წელიწადის მანძილზე, მშვილდოსნის თანავარსკვლავედში მდებარეობს. ის მზეზე 33-ჯერ მასიურია.**



ვოლფ-რაიეს ფაზა მასიური ვარსკვლავების ევოლუციის ერთ-ერთი ფინალური ეტაპია. ასეთი ვარსკვლავები ირმის ნახტომში ბევრი არ არის, რადგან ვოლფ-რაიედ მხოლოდ გარკვეული ვარსკვლავები გადაიქცევიან და ამ ფაზაში მცირე დროით რჩებიან – რამდენიმე ათასწლეულის შემდეგ WR 124 სუპერნოვა გახდება.


საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS RESPUBLIKA

ჭავჭავაძის გამზირი №17ე

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლები:
შპს 100 — ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“ გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

2 009882 616932


ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 22 მარტს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.5800; ევრო - 2.7425;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1298;
100 რუბლი - 3.3599; თურქული ლირა - 0.1367;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5176;
1000 სომხური დრამი - 6.6392

**ამინდი 20 მარტისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +7, | დღე +14 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +3, | დღე +11 |
| დასავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +5, | დღე +12 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +3, | დღე +11 |
| თბილისი: | ღამე | +10, | დღე +12 |


დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge